ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

## გარყვნილი ქმედება არასრულწლოვნის მიმართ — ოზურგეთში ახალგაზრდა კაცი დააკავეს







## მასშტაბური სპეცოპერაცია ქოლ-ცენტრების წინააღმდეგ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხუთშაბათი, 9 ნოემბერი, 2023 №221 (9257) ფასი: 80 თეთრი

# 8 ნოემბერი — ეს დღე ჩვენია!




სალომე ზურაბიშვილი: „ეს არის ჩვენი პასუხი რუსეთს, ეს არის ჩვენი პასუხი ოკუპაციას!“






ირაკლი ღარიბაშვილი: „ჩვენ გავიმარჯვებთ, ჩვენმა ქვეყანამ გაიმარჯვა დღეს, ჩვენმა ხალხმა გაიმარჯვა, გაიმარჯვა ჩვენმა სიმართლემ!“

## „ევროპამ გვითხრა, თქვენ ჩემიანები ხართ!“




დავით ბერძენიშვილი: „ევროკავშირის წევრობის კანდიდატობამ ბიძგი უნდა მისცეს და მორიგი ნახტომი გვჭირდება ჩვენ ნატოს წევრობისთვის“

## „ევროკავშირი არის ამ ქვეყნის მომავლის გადარჩენის ერთადერთი შანსი“




დავით დარჩიაშვილი: „ქართულმა ოცნებამ“ რისკიანი არჩევანი უნდა გააკეთოს. 2024 წლის არჩევნებს გამადიდებელი შუშით დააკვირდებიან. ხელისუფლებამ ეს უნდა იცოდეს“.

## „გვჭირდება ბევრი ნატო და ბევრი ევროკავშირი“




რისთვის შეიძლება გამოიყენონ ანტიდასავლურმა ძალებმა ევროკავშირის სტატუსი?

ამბები აფხაზეთის ომიდან

## „ჰოსპიტალში წევს ირაკლი ამირეჯიბი, ისეთივე ნატიფი, როგორც სიცოცხლეში“







## საქართველოში ირანის არანავთობპროდუქციის ექსპორტი 18,2%-ით გაიზარდა

### გიორგი გოჩოლეიშვილმა ბარსელონასთან საგოლე პასი გააკეთა




4 რა გავყიდეთ და ვიყიდეთ ევროპის ქვეყნებში

6 ქალი სამშობიაროში შეიპარა და მძინარე დედას ბავშვი მოპარა

5 რატომ არის კარგი უმი ბოსტნეულის წვენები

6 რუსეთი უკრაინაში გადატრიალებას ამზადებს?!

# 8 ნოემბერი — ეს დღე ჩვენია!

## სალომე ზურაბიშვილი: „ეს არის ჩვენი პასუხი რუსეთს, ეს არის ჩვენი პასუხი ოკუპაციას!“

– ეს არის ჩვენი პასუხი რუსეთს, ეს არის ჩვენი პასუხი ოკუპაციას, ეს არის ჩვენი პასუხი ყველა იმ უღირსობაზე, ეს არის ყველას გამარჯვება, – ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა ორბელიანის სასახლესთან სიტყვით გამოსვლისას განაცხადა, სადაც მოქალაქეები არიან შეკრებილები.



როგორც პრეზიდენტმა აღნიშნა, ომის, ოკუპაციის და სხვა ზეწოლის მიუხედავად, ქართველმა ხალხმა თავისი თქვა, თავისი გზა აირჩია.

– გილოცავთ! გილოცავთ ჩემო თანამემამულეებო, გილოცავთ აქ, საქართველოში და თქვენ, ვინც საზღვრების მიღმა ხართ. გილოცავთ ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებლებს, რამეთუ, ერთი რამ ნამდვილად ვიცი, ჩვენი ევროპული მომავალი, თქვენი ევროპული მომავალიც არის. გილოცავთ, რამეთუ ეს დღე თქვენ გეკუთვნით, ეს დღე საქართველოს მიღწევაა. დღეს ნამდვილად მიხარია. დღეს ყველას ერთად გვიხარია. ეს დღე ჩვენი წინაპრების არის, ვინც ამ ქვეყნის დამოუკიდებლობის, თავისუფლების, დემოკრატიის და წინსვლისთვის იბრძოდა და სიცოცხლე შესწირეს. ეს დღე აუცილებლად ილიასია, დღეს მისი დაბადების დღეა. ეს დღე აკაკისია, ნიკოსი, ვაჟასი, სულხან-საბასი, ერეკლესი... არ შემიძლია ყველა ჩამოვთვალო. ეს დღე არის ჩვენი, ყველასი, ვინც საუკუნეების განმავლობაში სხვადასხვა ფორმით იზიარებდა ამ უდიდეს მისწრაფებას, რომ საქართველო იმ ცივილიზებული ოჯახის წევრი ყოფილიყო, რასაც ჰქვია ევროპული ცივილიზაცია, ევროპული კულტურა, ჩვენი კულტურის და იდენტობის საფუძველზე. ეს დღე ზვიადის და მერაბის არის. ეს დღე, ასევე, ზურაბ ჟვანიასია. ყველა ამ ქვეყნის მეთაურისა, რომელმაც ამ დიდ საოცნებო საქმეში თავისი წვლილი შეიტანა. ყველაზე უფრო მეტად, ეს დღე თქვენი დღეა, რამეთუ ქართველი ხალხის ურყევი ნების გამოხატვაა, ლხინსა და ჭირში, ომის და ოკუპაციის და სხვა ზეწოლის მიუხედავად, ქართველმა ხალხმა თავისი თქვა, თავისი გზა აირჩია, აღარ უყოყმანია ამ გზაზე. ვიცით, რომ ეს გზა ჩვენი კულტურის, იდენტობის, ჩვენი დაცულობის, მშვიდობის და ტერიტორიული გამთლიანების ერთადერთი გზაა. სხვა გზა კი მონობამდე და ჩვენი თავის დაკარგვამდე მიდის, ეს ქართველ ხალხს არ ესწავლება. ეს დღე არანაკლებად იმათი დღეა, ვინც ამ ქვეყნის სადარაჯოზე იდგა და ამ დღეს ვერ დაესწრო. ვინც ამ ქვეყნის უსამართლო და ტრაგიკულ ოკუპაციას ემსხვერპლა. ყველას დღეა. ამ შეუპოვარ სამშობლოს სიყვარულზე დგას ჩვენი წარსულიც და მომავალიც. ეს არის ჩვენი პასუხი რუსეთს, ეს არის ჩვენი პასუხი ოკუპაციას, ეს არის ჩვენი პასუხი ყველა უღირსობაზე, ეს არის ყველას გამარჯვება, ვინც ამას ებრძოდა, ვინც ამას გაუმკლავდა და დღევანდელ დღეს აქ არიან სინამდვილეში, ისინი ამ დღისთვის იბრძოდნენ. მინდა წუთიერი დუმილით ვაგოთ პატივი, მათი ხსოვნა იყოს ამ დღეს, ამ სიხარულში ჩვენთან ერთად, – აღნიშნა პრეზიდენტმა.

პრეზიდენტის ინიციატივით, იწყება ხელმოწერების კამპანია – „ჩვენი ხმა ევროპას!“

– დღეს იწყება ჩვენი ხელმოწერების კამპანია – „ჩვენი ხმა ევროპას“. კამპანია, რომელიც ჩემზე კი არა, თქვენზეა დამოკიდებული, მთელ ქვეყანაზე, უნდა იყოს გაშლილი ქვეყანაში და ქვეყნის გარეთ, – განაცხადა პრეზიდენტმა.

# „ევროპამ გვითხრა, თქვენ ჩემიანები ხართ!“

ნონა ცაბაძე

## დავით ბერძენიშვილი: „ევროკავშირის წევრობის კანდიდატობამ ბიძგი უნდა მისცეს და მორიგი ნახტომი გვჭირდება ჩვენ ნატოს წევრობისთვის“

*„ახალი თაობის“ კითხვებს დავით ბერძენიშვილი პასუხობს.*

***– ბატონო დავით, ყველასთვის ამაღელვებელი დღე იყო გუშინ. თქვენ ყოველთვის დადებითი პასუხის მოლოდინი გქონდათ, მაგრამ მაინც როგორ შეხვდით ამ გადაწყვეტილებას?***

– დიახ, პოლიტიკური მოლოდინი ასეთი მქონდა და ამას საჯაროდ გამოვხატავდი თქვენთანაც. ეს მოლოდინი გამართლდა. ამ თვალსაზრისით რაიმე განსაკუთრებულს ვერაფერს მივიწერ, ეს ყველაფერი ხელისგულზე იდო ორი მთავარი კომპონენტის გამო, ევროპის გაფართოების გადაწყვეტილება, მსოფლიოს გლობალიზებულ კონტექსტში, ლისაბონიდან – თბილისამდე. ანუ მომდევნო ათეულებს, ევროპა უნდა შეხვდეს გაფართოებული თბილისის ჩათვლით, რომ იყოს კონკურენტუნარიანი, სხვა დიდ გაერთიანებებთან, იქნება ეს ჩრდილოეთ ამერიკა, ლათინო ამერიკა, ჩინეთი, ინდოეთი, სამხრეთ აღმოსავლეთი, აზია, აფრიკა და ასე შემდეგ. მოკლედ, ევროპას სათავისო გადასახედიდან, მისი კონკურენტუნარიანობის შესანარჩუნებლად და გასაძლიერებლად, მაქსიმალური გაფართოება სჭირდებოდა. ხვრელები, როგორიცაა დასავლეთ ბალკანეთი თუ ჩვენი ასოცირებული ტრიო, მოლდოვა-უკრაინა-საქართველო, ეს ხვრელები უნდა ამოევსო. მეტიც, დღეს ლისაბონიდან თბილისამდეა ევროპა და ალბათობა მაღალია, რომ ერევნამდეც იქნება. ასე რომ, გეოპოლიტიკურად ეს მოსალოდნელი იყო ევროპული გადმოსახედიდან.

***– ეს იყო პოლიტიკური გადაწყვეტილება?***

– ერთი ეს და მეორე, უმნიშვნელოვანესი ფაქტორი არის, რა თქმა უნდა, ჩვენი მოქალაქეების თავდადება ევროპული არჩევანისადმი. თქვა კიდეც ურსულა ფონ დერ ლაიენმა მის სიტყვაში, რომ საქართველოს მოსახლეობის დიდი უმრავლესობის განწყობა და მოლოდინი იყო ასეთი.

***– ჩვენი მოსახლეობის 80%-ის ნებაა ასეთი.***

– დიახ, ასეა და ეს ქუჩაში, საკმაოდ მძიმე ვითარებაშია დადასტურებული და ეს უზარმაზარი რაოდენობაა.

***– ახლა ორივე მხარე ცდილობს მიიწეროს ეს გადაწყვეტილება. ოპოზიცია ამბობს, რომ მისი დამსახურებაა, ხელისუფლება ხომ ამბობს და ამბობს. ირაკლი ღარიბაშვილმა განაცხადა, დღე და ღამე ვმუშაობდით 12 რეკომენდაციის შესასრულებლადო...***

– დღეს მე ვიქნები ძალიან შემრიგებელ-შემგუებლური, თუ ზღვარგადასული არ იქნება ხელისუფლება, ავიტან მათ განცხადებებსაც კი. ჩემთვის დღეს პოლიტიკურის გარდა, რა თქმა უნდა, ემოციურად ძალიან დატვირთული დღეა. ეს ბუნებრივიცაა, როდესაც ასეთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებაა მიღებული, ეს ერთ-ერთი ყველაზე ნიშნული დღეა თანამედროვე პოსტსაბჭოთა საქართველოს ისტორიაში. მართლაც რომ ძალიან მნიშვნელოვანი დღეა!

***– რამდენად ჩამოვრჩებით, ან მოვხვდებით იგივე კალათაში, სადაც უკრაინა და მოლდოვაა? დაიწყოს საუბარი მათ გაწევრიანებაზეო, ეს განცხადებაც მოვისმინეთ.***

– მოვხვდებით, კი. ამ მოლაპარაკებებს სვლები უნდა. ჩვენ ამჟამად ჩამორჩენა შევამცირეთ აი ამ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებით. მნიშვნელოვნად შევამცირეთ. დარწმუნებული ვარ, რომ 15 დეკემბერს ევროპული საბჭო, საბოლოოდ ფორმალურ გადაწყვეტილებასაც მიიღებს. ძალიან დიდია ამ ყველაფერში გერმანიის როლი, განმსაზღვრელია. ისევე, როგორც 1918 წელს, გერმანია იყო საქართველოს დამოუკიდებლობის ნათლია. ასევე, პირველი საელჩო საქართველოში, 1992 წელს სწორედ გერმანიამ გახსნა და დღემდე დიპლომატიური ნომრები 001 გერმანიისა და არა ამერიკის ან რომელიმე სხვა ქვეყნის. ასევე, ურსულა გერმანელი პოლიტიკოსია და გერმანიის თავდაცვის მინისტრი იყო, არა მარტო ეს, მაგრამ ძირითადი განმსაზღვრელი და მამოძრავებელი ძალა აი ამ ფორმულისა – ევროპა ლისაბონიდან-თბილისამდე, სწორედ გერმანიას ეკუთვნის, რომელმაც მიიმხრო საფრანგეთი და მათმა ტანდემმა განსაზღვრა ეს გადაწყვეტილება.



***– მივიღებთ სტატუსს, მაგრამ ბევრი დათქმებით. მათ შორის, 2024-ის არჩევნები იქნება გადამწყვეტი.***

– დიახ, ბევრი დათქმა გვაქვს და ეს ძალიან კარგია. ანუ ევროპამ გვითხრა, თქვენ ჩემიანები ხართ, ჩვენ თქვენი ვართ, გადაწყვეტილება მივიღეთ და ახლა, მოდით, შეასრულეთ ყველა დავალება. პოზიტიურად იყო მოხსენიებული არასამთავრობო სექტორი და ოპოზიცია და ურსულამ იმედი გამოთქვა, რომ ხელისუფლება ცუდად არ მოიქცევა. ძალიან მკაფიო იყო მისი ტექსტი. ასე რომ, მე ამჟამად არ ვაქცევ განსაკუთრებულ ყურადღებას იმას, თუ რას ამბობს ხელისუფლება, ის დღეს ამბობს, რომ ორჯერ ორი შვიდია, ჯანდაბას, თქვას. ახლა ეს არ არის მთავარი.

***– რამდენად შეეცდება ხელისუფლება ქულების დაწერას და შემდეგ ამის საარჩევნოდ გამოყენებას?***

– ყველა შეეცდება ამის გამოყენებას, მაგრამ ოპოზიციის ბრალი იქნება, თუ არსით პროდასავლური ოპოზიცია ვერ შეძლებს ისეთი კონფიგურაციის შექმნას, რომ მოუგოს არსით ანტიდასავლურ და ანტიევროპულ ხელისუფლებას. ასე რომ, ოპოზიციის ბრალი იქნება, თუ ხელისუფლება უკეთ გამოიყენებს ამ ამბებს. და ისე, გამოყენებებს რაც შეეხება, ევროსაბჭოში საქართველო შევარდნაძემ შეიყვანა და ორ წელიწადში წავიდა სახლში. ჰიტლერის წინააღმდეგ ომში ჩერჩილი პირველი ფიგურა იყო, ომი მოიგო და არჩევნები წააგო ორ თვეში. ასე რომ, ნუ გადავაჭარბებთ ხელისუფლებისთვის რაიმე განსაკუთრებულ პოზიტივებს ამ გადაწყვეტილებით. დღევანდელი დღე გაცილებით მნიშვნელოვანია, ვიდრე ის, რომელი პოლიტიკური ძალა ამ საკითხებს როგორ გამოიყენებს ან ვერ გამოიყენებს.

***– ბატონო დავით, რუსეთზეც მინდა გკითხოთ, როგორი იქნება მათი რეაქცია? ამ ჩვენ სიხარულს სამწუხარო ფაქტიც ერთვის თან. თქვენთვისაც ცნობილია, ჩვენი მოქალაქე მოკლეს ოკუპანტებმა. რას იზამს ამ შემთხვევაში რუსეთი და რას მოიმოქმედებს ჩვენი ხელისუფლება?***

– რუსეთი მტერია, რუსეთი მოწინააღმდეგეა, რუსეთი უნდა დამარცხდეს უკრაინაში! ეს არის ყველას ამოცანა. რა თქმა უნდა, რუსეთი არ მიესალმება საქართველოს ინტეგრირების ზრდას ევროატლანტიკურ სტრუქტურებში. მეტიც, ევროკავშირის წევრობის კანდიდატობამ, ბიძგი უნდა მისცეს და მორიგი ნახტომი გვჭირდება ჩვენ ნატოს წევრობისთვის. მე ამას ასე დავინახავდი, გავხდით ევროკავშირის წევრობის კანდიდატი, ახლა უახლოეს წლებში გავხდებით ნატოს წევრები და მერე უნდა გავხდეთ ევროკავშირის წევრები. ასე უნდა დავიცვათ თავი რუსეთისგან, რომელიც არის სრულიად არაპროგნოზირებადი, ამიტომ ჩვენ უნდა ვიყოთ ევროპაში!

## გარყვნილი ქმედება არასრულწლოვნის მიმართ — ოზურგეთში ახალგაზრდა კაცი დააკავეს



ოზურგეთში, არასრულწლოვნის მიმართ გარყვნილი ქმედების ბრალდებით ახალგაზრდა კაცი დააკავეს. ცნობილი ხდება, რომ შემთხვევა ოზურგეთის ერთ-ერთ სოფელში მოხდა. სამართალდამცველებმა კაცი 5 ნოემბერს დააკავეს.

არსებული ინფორმაციით, კაცი წარსულში მკვლელობისთვის არის ნასამართლევი.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობით, უწყებამ გამოძიება სისხლის სამართლის 141-ე მუხლით დაიწყო.

## ბრძოლების მთავარი ეპიცენტრი ავდეევკაა

რუსეთ-უკრაინის ომი გრძელდება. ბრძოლების მთავარი ეპიცენტრია ავდეევკა. რუსმა ოკუპანტებმა გასულ დღეს მორიგი შტურმის განხორციელება სცადეს. იერიში მოგერიებულ იქნა. პასუხად რუსებმა დაიწყეს ავდეევკის მასობრივი დაბომბვა.

გააფთრებული ბრძოლებია ბახმუტთანაც. აქ რუსებმა ინიციატივის ხელში აღება სცადეს. სასტიკი ბრძოლები გაიმართა კლესჩივკასა და ბოგდანოვკასთან. უკრაინელმა მეომრებმა მტრის ყველა შეტევა მოიგერიეს.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

## 1 აშშ დოლარის ოფიციალური ღირებულება 2.7025 ლარი გახდა

ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებული მონაცემების თანახმად, დღევანდელი ვაჭრობის შედეგად 1 აშშ დოლარის ღირებულება 2.7025 ლარი გახდა. კურსი, რომელიც დღეს მოქმედებდა, 2.7000 ლარი იყო. შესაბამისად, დოლარის ცვლილებამ ეროვნულ ვალუტასთან მიმართებაში 0.0025 ლარი შეადგინა. რაც შეეხება ევროს, მისი კურსი 2.8825 ლარია. მაშინ, როცა დღეს მოქმედი კურსი 2.8847 ლარს შეადგენდა. შესაბამისად, ევროს ცვლილებამ 0.0022 ლარი შეადგინა. დღევანდელი ვაჭრობის შედეგად მიღებული კურსები ძალაში ხვალ შევა.

ISSN 1987-9385
ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
მთავარი რედაქტორი – ხოხო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ახლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მურაზ ლეჟერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ-ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამართალი

## მასშტაბური სპეცოპერაცია ქოლ-ცენტრების წინააღმდეგ

მასშტაბური სპეცოპერაცია ქოლ-ცენტრების წინააღმდეგ – საქართველოს მთავარი პროკურატურის ინფორმაციით, 11 ქვეყნის კომპეტენტური უწყებების ჩართულობით 23 ქვეყნის, მათ შორის, საქართველოს ტერიტორიაზე, თაღლითური ქოლ-ცენტრების წინააღმდეგ ფართომასშტაბიანი ღონისძიებები ჩატარდა.

უწყებაში ამბობენ, რომ ღონისძიება მიზნად საერთაშორისო მასშტაბით თაღლითური სქემის გამოვლინებას ისახავს მიზნად.

საქართველოს პროკურატურის და 11 ქვეყნის კომპეტენტური უწყებების წარმომადგენლების ჩართულობით, 23 ქვეყნის, მათ შორის, საქართველოს ტერიტორიაზე, თაღლითური ქოლ-ცენტრების წინააღმდეგ ფართომასშტაბიანი ღონისძიებები ჩატარდა.

საქართველოს გენერალური პროკურატურა აგრძელებს აქტიურ თანამშრომლობას ევროჯასტთან და პარტნიორი ქვეყნების კომპეტენტურ უწყებებთან საერთაშორისო მასშტაბით მოქმედი თაღლითური ქოლ-ცენტრების გამოვლენის მიზნით.

გვსურს გამოვეხმაუროთ ევროჯასტის მიერ ერთობლივი, წარმატებული, ღონისძიებების შესახებ გავრცელებულ ინფორმაციას და საზოგადოებას ვაცნობოთ, რომ 2023 წლის ივლისში შვეიცარიელ კოლეგებთან ერთად საქართველოს ტერიტორიაზე ფართომასშტაბიანი ღონისძიებები ჩატარდა.



ღონისძიების მიზანს ტრანსნაციონალური ხასიათის მქონე თაღლითური ქოლ-ცენტრების და მათ ორგანიზებაში ჩართულ პირთა გამოვლენა წარმოადგენდა, რომლებიც საქართველოს გარდა არაერთ, მათ შორის, ევროკავშირის წევრ ქვეყნებშიც მოქმედებდნენ.

ერთობლივი გამოძიების ფარგლებში დადგენილია, რომ ორგანიზებული ჯგუფის წევრები ასეულობით ვებ გვერდის გამოყენებით ქმნიდნენ სანდო საინვესტიციო კომპანიების შთაბეჭდილებას და დაზარალებულებს სხვადასხვა სახის სარფიან, ფინანსურ გარიგებებს სთავაზობდნენ. ორგანიზებული ჯგუფის სამიზნეს ევროკავშირის წევრი ქვეყნების, მათ შორის, ძირითადად, შვეიცარიის და გერმანიის მოქალაქეები წარმოადგენდნენ. ამ ეტაპისთვის არსებული ინფორმაციით, ზიანი რამდენიმე მილიონ ევროს შეადგენს.

საქართველოში ჩატარებული ღონისძიების ფარგლებში განხორციელდა რამდენიმე ქოლ-ცენტრის, ათეულობით ფიზიკური პირის, მათი საცხოვრებელი ბინების, ავტომანქანების და სამუშაო ადგილების ჩხრეკა. ამოღებული იქნა ელექტრონული ინფორმაციის მატარებელი მოწყობილობები. ყადაღა დაედო სავარაუდოდ დანაშაულებრივი გზით მოპოვებულ უძრავ-მოძრავ ქონებებს, საბანკო ანგარიშებს და მათზე განთავსებულ ფულად თანხებს.

ერთობლივი გამოძიება ამჟამადაც გრძელდება და გამოძიების შედეგების შესახებ საზოგადოებას დამატებით ვაცნობებთ.

აღსანიშნავია, რომ ბოლო წლებში, საქართველოს პროკურატურაში, ტრანსნაციონალური, ე.წ. თაღლითური ქოლ-ცენტრების და ორგანიზებულ დანაშაულში მონაწილე პირთა გამოვლენის მიზნით, მიმდინარე გამოძიების ფარგლებში, სხვადასხვა ქვეყნის კომპეტენტურ უწყებებთან თანამშრომლობის შედეგად, პროკურატურის მიერ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო ათეულობით ფიზიკური და რამდენიმე იურიდიული პირის მიმართ, რომელთაც ბრალდება ორგანიზებული ჯგუფის მიერ ჩადენილი თაღლითობისა და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ფაქტებზე წარედგინათ.

ამავდროულად, საქართველოს პროკურატურა, საერთაშორისო პარტნიორებთან ერთად, ევროჯასტის კოორდინაციით ინტენსიურ რეჟიმში აგრძელებს გამოძიებას სხვადასხვა ქვეყნებში ე.წ. თაღლითური ქოლ-ცენტრების საქმიანობით დაკავებული სხვა ფიზიკური თუ იურიდიული პირების, მათ შორის ტრანსნაციონალური დანაშაულების ორგანიზატორების მხილების მიზნით. ევროჯასტმა აღნიშნულ ფართომასშტაბიან ღონისძიებასთან დაკავშირებით განცხადება გაავრცელა.

# „ევროკავშირი არის ამ ქვეყნის მომავლის გადარჩენის ერთადერთი შანსი“

### დავით დარჩიაშვილი: „ქართულმა ოცნებამ“ რისკიანი არჩევანი უნდა გააკეთოს. 2024 წლის არჩევნებს გამადიდებელი შუშით დააკვირდებიან. ხელისუფლებამ ეს უნდა იცოდეს“.



ნათია ხურცილავა

**ნაციონალური მოძრობის ყოფილი წევრი, პარლამენტის ყოფილი დეპუტატი, ილიას უნივერსიტეტის პროფესორი დავით დარჩიაშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ევროკომისიის მიერ საქართველოსთან დაკავშირებით გაცემულ დადებით რეკომენდაციაზე საუბრობს.**

***– ბატონო დავით, ურსულა ფონ დერ ლაიენმა განაცხადა: უკრაინა, მოლდოვა და საქართველო ევროპული ოჯახის ნაწილები არიან და გვსურს ევროკავშირის წევრები იყვნენ. რამდენად იქნება ეს განცხადება გზავნილი რუსეთისა და საქართველოს ხელისუფლებისთვის?***

– პირველ რიგში, ევროკომისიის რეკომენდაციასთან დაკავშირებით მინდა ვთქვა, რომ ეს არის მნიშვნელოვანი ნაბიჯი საქართველოს პოლიტიკური, კულტურული, ეკონომიკური განვითარებისთვის. მართალია ჯერ არ მიგვიღია ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსი, მაგრამ ევროკომისიის მიერ გაცემული რეკომენდაცია პოლიტიკური ლიდერებისთვის ნიშნავს კანდიდატის სტატუსის მიღებას, რომელიც დეკემბრის შუა რიცხვებში იქნება.

რაც შეეხება თქვენს კითხვას – ევროკავშირი ამ გადაწყვეტილებით, ვგულისხმობ ევროკავშირის გაფართოებას, სერიოზული გეოპოლიტიკური მოთამაშე ხდება. ცხადია, ეს იქნება რუსეთის ფედერაციისთვის გზავნილი.

***– რაც შეეხება საქართველოს ხელისუფლებას, მისთვის რამდენად იქნება რეფორმების გზაზე მოტივატორი?***

– ვერ გეტყვით, „ქართული ოცნებისთვის“ რა იქნება პრიორიტეტი და ჩვენი ხელისუფლება ასი პროცენტით ადეკვატურად მოიქცევა, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში, ევროკავშირის ეს გადაწყვეტილება უნდა იყოს გზავნილი და ამ გზას არ უნდა გადაუხვიოს, რადგან ევროკავშირში სრულფასოვანი წევრობა არის ამ ქვეყნის, ამ საზოგადოების მიზანიც და ამოცანაც.

ევროკავშირმა ამ ქვეყანასაც და ამ ხელისუფლებასაც ხელი კიდევ ერთხელ გაუწოდა. „ქართული ოცნება“ როგორ გამოიყენებს ამ შანსს, იქნება თუ არა ადეკვატური, ვნახავთ. გამოიყენებს ამ გაწვდილ ხელს, თუ უარს იტყვის და საბოლოოდ გადაჰყვება და გადაიჩეხება თუ არა, ეს ძალიან მალე გამოჩნდება. ახლა ჯერი მათზეა. ევროკავშირი არის ამ ქვეყნის მომავლის გადარჩენის ერთადერთი შანსი. სხვა გზა საქართველოს არ აქვს.

გაატარებენ რეალურ რეფორმებს, იქნება თავისუფალი სასამართლო, თავისუფალი პროკურატურა, იქნება დეოლიგარქიზაცია. ჩაატარებენ თავისუფალ არჩევნებს – ეს ყველაფერი ქვეყანას გაძლიერებს, მაგრამ „ქართული ოცნების“ ძალაუფლებას დაასუსტებს ან საერთოდ დააკარგვინებს. ამ გზაზე რა გადაწყვეტილებას მიიღებენ, ეს მხოლოდ მათზეა დამოკიდებული. „ქართულმა ოცნებამ“ რისკიანი არჩევანი უნდა გააკეთოს.

არჩევნებში უკვე ველარ იმუშავებს – აბა, ომი გინდათ! ვერც ის იმუშავებს, რომ თურმე ევროპა და სრულიად დასავლეთი, ომისკენ რომ მოგვიწოდებენ. ამას ამ ხალხს ველარ ეტყვიან.

***– არჩევნები ახსენეთ. ევროკავშირის ელჩმა თქვა, რომ 9 ნაბიჯისგან შემდგარი კომპლექტი გადმოგვეცა, სადაც ერთ-ერთი თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების ჩატარებაა.***

– სამართლიანი და თავისუფალი არჩევნები, თუ შეიძლება ასე ითქვას, გადამწყვეტი იქნება. 2024 წლის არჩევნებს გამადიდებელი შუშით დააკვირდებიან. ეს უნდა იცოდეს „ქართულმა ოცნებამ“.

***– გუნდის შიგნით რამდენად იქნება რაციონალური დამოკიდებულება?***

– იმედს ვიტოვებ, რომ ვილაცები აღმოჩნდებიან, რომელთაც ეყოფათ გამბედაობა, ეყოფათ გონიერება, თქვან, რომ უფრო მეტია ქვეყანა, ვიდრე ძალაუფლების შენარჩუნება. ვიდრე ხელისუფლებაში ყოფნა.

ამ დილემის წინაშე ისინი ნამდვილად აღმოჩნდებიან, თუ სწორ, რაციონალურ გადაწყვეტილებას არ მიიღებენ, ყველაფერს გააფუჭებენ. ქვეყანასაც დაუშავებენ და საკუთარ თავებსაც. თუ სწორად იმოქმედებენ, მაშინ საკუთარ თავებსაც გადაირჩენენ და ამ ქვეყნის მომავალსაც გადაარჩენენ. გადაწყვეტილება მაინც ერთი ადამიანის მისაღები იქნება, მაგრამ იმედი მაქვს, ვილაცა მაინც აღმოჩნდება ისეთი, ვინც ივანიშვილს სწორად ურჩევს.

***– გუნდის შიგნით გულისხმობთ თუ გარედან?***

– გარედანაც და გუნდის შიგნითაც. ღარიბაშვილს, კობახიძეს და პაპუაშვილს არ ვგულისხმობ. თუმცა, მათაც შეუძლიათ სწორი რჩევა მისცენ, რომ შანსი მიცემულია ყველასთვის და რამდენად გამოიყენებენ ამ შანსს, ეს მათზეა დამოკიდებული. ეს მხოლოდ ბიძინა ივანიშვილზე იქნება დამოკიდებული და სხვა არავისზე. თუ საბოლოოდ გააფორმებენ დიქტატურას, მაშინ ყველაფერი ამოყირავდება. ეს ქვეყანა და ეს ხალხი დიქტატურას მაინც ვერ შეეგუება. ეს უნდა იცოდნენ.

# ირაკლი ღარიბაშვილი: „ჩვენ გავიმარჯვებთ, ჩვენმა ქვეყანამ გაიმარჯვა დღეს, ჩვენმა ხალხმა გაიმარჯვა, გაიმარჯვა ჩვენმა სიმართლემ!“

– ეს არის ევროკომისიის ისტორიული გადაწყვეტილება. მინდა, პირველ რიგში, მადლობა გადავუხადო ევროკომისიის პრეზიდენტს, ქალბატონ ურსულა ფონ დერ ლაიენს. განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო ასევე ევროკომისარ ოლივერ ვარჰეის, რომელიც არის ჩვენი ქვეყნის დიდი მეგობარი, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ ბრიფინგზე განაცხადა.

პრემიერის თქმით, ეს არის ისტორიული დღე.

– ჩემთვის დიდი პატივია, მოგილოცოთ დღევანდელი ისტორიული გადაწყვეტილება. ევროკომისია დადებითად აფასებს მიღწეულ შედეგს და ევროპულ საბჭოს აძლევს რეკომენდაციას, საქართველოს მიენიჭოს კანდიდატის სტატუსი. ეს, რა თქმა უნდა, არის ისტორიული დღე, ევროკომისიის ისტორიული გადაწყვეტილება. მე მინდა, პირველ რიგში, მადლობა გადავუხადო ევროკომისიის პრეზიდენტს, ქალბატონ ურსულა ფონ დერ ლაიენს. განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო ასევე ევროკომისარ ოლივერ ვარჰეის, რომელიც არის ჩვენი ქვეყნის დიდი მეგობარი, – განაცხადა პრემიერმა.

მთავრობის მეთაურმა მმართველ გუნდს მადლობა გადაუხადა და აღნიშნა, რომ დღევანდელი დღე გუნდის თითოეული წევრის დამსახურებაა. პრემიერის თქმით, სამთავრობო გუნდი ბოლო ერთი წლის განმავლობაში, 24 საათის რეჟიმში, მუშაობდა 12 რეკომენდაციის შესრულებაზე.

– ეს პერიოდი იყო ძალიან დატვირთული. საკმაოდ დატვირთული ემოციური თვალსაზრისითაც, ვინაიდან, ჩვენ, მოგეხსენებათ, რომ უზარმაზარი სამუშაო გავწიეთ. მე მინდა, ჩვენს ერთიან, ძლიერ გუნდს გადავუხადო მადლობა, საქართველოს პარლამენტს, ჩვენი გუნდის თითოეულ წევრს, პარლამენტის თავმჯდომარეს, ჩვენი პარტიის თავმჯდომარეს, ჩვენი გუნდის თითოეულ წევრს, ვინაიდან ეს იყო ჩვენი საერთო მუშაობის შედეგი. ჩვენ ბოლო ერთი წლის განმავლობაში, 24 საათის განმავლობაში, ვმუშაობდით 12 რეკომენდაციის შესრულებაზე. დღეს ვიხილეთ ანგარიში, რომელიც არის ერთმნიშვნელოვნად და მკაფიოდ პოზიტიური, დადებითი და ეს გადაწყვეტილება ეფუძნება მიღწეულ შედეგს.

მე ასევე მინდა მადლობა გადავუხადო ბატონ შარლ მიშელს, რომელიც მხარს უჭერდა და უჭერს, რომ საქართველოს მიეღო კანდიდატის სტატუსი. რა თქმა უნდა, მე მინდა ასევე მადლობა გადავუხადო ჩვენს სტრატეგიულ პარტნიორს ამერიკის შეერთებულ შტატებს. ბოლო პერიოდში, განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო, ერთი თვის წინ მქონდა ჩვენს ამერიკელ მეგობრებთან გარდამტეხი და გადამწყვეტი შეხვედრები, შეიძლება ასე ითქვას. მინდა გამოვყო შეხვედრა ბატონ სალივანთან და პირადად მას გადავუხადო მადლობა, ვინაიდან, კარგად ვიცით, რომ ბატონი სალივანის და ამერიკის მთავრობის სურვილი მხარდაჭერა იყო და არის დიდი მნიშვნელობის.

კიდევ ერთხელ მინდა მადლობა გადავუხადო ქალბატონ ურსულა ფონ დერ ლაიენს, რომელთანაც მქონდა საკმაოდ შინაარსიანი და გადამწყვეტი მნიშვნელობის შეხვედრა ესპანეთში, – განაცხადა პრემიერმა.

პრემიერმა დღევანდელი დღე მიულოცა თითოეულ მოქალაქეს და ხაზი გაუსვა, რომ ეს აღიარება, ღირსეული გადაწყვეტილება ეკუთვნის ხალხს.

– განსაკუთრებით ბოლო პერიოდში, თუ რაიმე დაზუსტება იყო საჭირო, ჩვენმა გუნდმა ერთიანად მოვახერხეთ და ძალიან მოკლე პერიოდში დავხურეთ თითქმის ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც იქნა მოცემული ჩვენი ევროპელი პარტნიორების მხრიდან. ასე რომ, კიდევ ერთხელ მინდა მივულოცო ჩვენი ქვეყნის თითოეულ მოქალაქეს, ჩვენს ხალხს, პირველ რიგში, ვინაიდან ეს გამარჯვება და ეს აღიარება, ეს ღირსეული გადაწყვეტილება, მე ასე ვიტყოდი, ეკუთვნის ჩვენს ხალხს, რომელსაც ჩვენი მთავრობა და ჩვენი ხელისუფლება წარმოადგენს. კიდევ ერთხელ მინდა მადლობა გადავუხადო ჩვენს გუნდს, საჯარო მოხელეებს,



მთავრობას, საგარეო საქმეთა სამინისტროს, ჩვენს დიპლომატებს, კიდევ ერთხელ ჩვენს პარლამენტს, ვინაიდან 100-ზე მეტი დოკუმენტი იქნა მიღებული, შექმნილი და უზარმაზარი სამუშაო, უდავოდ უნდა ითქვას, გასწია მთელმა გუნდმა, – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

მთავრობის მეთაურის თქმით, მიუხედავად უამრავი დაბრკოლებისა, წინააღმდეგობისა, საბოტაჟისა თუ პროვოკაციებისა და არაერთი დესტრუქციული ქმედებებისა, შიდა თუ გარე მტრების ერთობლივი, კოორდინირებული მოქმედებებისა, გაიმარჯვა სიმართლემ.

– რა თქმა უნდა, ახლა ჩვენ გავაგრძელებთ მუდმივ დიალოგს ისე, როგორც ვაგრძელებდით მანამდეც ჩვენს ევროპელ კოლეგებთან. მჭიდრო კოორდინაცია გვექნება ჩვენს ევროპელ მეგობრებთან და აქვე მინდა აღვნიშნო, მიუხედავად უამრავი დაბრკოლებისა, უამრავი წინააღმდეგობისა, საბოტაჟისა თუ პროვოკაციებისა და არაერთი დესტრუქციული ქმედებებისა, შიდა თუ გარე მტრების ერთობლივი, კოორდინირებული მოქმედებებისა, ჩვენ გავიმარჯვებთ, ჩვენმა ქვეყანამ გაიმარჯვა დღეს, ჩვენმა ხალხმა გაიმარჯვა, გაიმარჯვა ჩვენმა სიმართლემ და კიდევ ერთხელ მე გული-

გაგრძელება მე-4 გვერდზე

# „გვჭირდება ბევრი ნატო და ბევრი ევროკავშირი“

## რისთვის შეიძლება გამოიყენონ ანტიდასავლურმა ძალებმა ევროკავშირის სტატუსი?

მარიამ მჭედლიშვილი



თამაზ გინტურის მხეცურ მკვლელობას და ლევან დოთიაშვილის მძევლად აყვანას საქართველოს აქტიური პოლიტიკური პარტიების უმრავლესობა საკუთარი მიზნებისთვის იყენებს.

ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევიან „ქართული ოცნება“ და ნაციონალური მოძრაობა. მესამე დღეა, მმართველი პარტია იმეორებს, რომ აღნიშნული ფაქტი წინა ხელისუფლების დროს მომხდარი ოკუპაციის ბუნებრივი შედეგია, ნაციონალური მოძრაობა კი ამ ტრაგედიას მოქმედი ხელისუფლების პრორუსული პოლიტიკით ხსნის.

ზოგიერთი უპარტიო თუ პარტიის წევრი პოლიტიკოსი და ექსპერტი ასახელებს გზებს, თუ როგორ შეიძლება დავიცვათ საოკუპაციო ზოლის მიმდებარედ მცხოვრები საქართველოს მოქალაქეები ოკუპანტების აგრესიისაგან. კონსტრუქციული წინადადებები გამოითქმის. თუმცა, საქართველოს შიდა პოლიტიკაში უფრო მეტად იკვეთება ის, რომ პოლიტიკური ორგანიზაციები და ჯგუფები სარგებლობენ დატრიალებული ტრაგედიით.

### „ბევრი ნატო და ევროკავშირი“

ყველა გამოკითხვის თანახმად, საზოგადოების აბსოლუტური უმრავლესობა საქართველოს ევროპული კურსის, ქვეყნისთვის ევროკავშირის წევრობის კანდიდატის მონიჭების აქტიური მომხრეა. ქვეყნისათვის მძიმე სიტუაციებში ადამიანები იმედს ამყარებენ საერთაშორისო საზოგადოებაზე. კირბალთან მომხდარი საშინელების გამოც ხალხში ეს განცდა გაჩნდა. საზოგადოება შესაბამის დახმარებას დასავლურ სტრუქტურებში ეძებს. პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი აგრძელებს პროევროპულ აქტივობებს და ქვეყანაში ევროინტეგრაციის მხარდამჭერი ხელმოწერების შეგროვებასაც აანონსებს.

– ყველაზე დიდი გამოსავალი არის ის, რომ ჩვენს ქვეყანას უნდა მოვუტანოთ ბევრი ნატო და ევროკავშირი. ეს გადაგვარჩენს, – აღნიშნავს არასამთავრობო ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს“ აღმასრულებელი დირექტორი ეკა გიგაური.

ეს პოზიცია გამოხატავს საზოგადოების უმრავლესობის აზრს. თუმცა, საქართველოს პოლიტიკურ სპექტრში ანტიდასავლური ორიენტაციის ძალებიც აქტიურობენ. წინასაარჩევნო პერიოდში, დიდი ალბათობით, საკვანძო გახდება საგარეო პოლიტიკის თემა. 6 ნოემბერს კირბალთან მომხდარი უმძიმესი დანაშაული გააქტიურებს ოკუპაციის პრობლემასაც.

ევროინტეგრაციის მიუხედავად, მმართველი პარტიის საგარეო პოლიტიკა გაუგებარია. ზოგისთვის ეს პოლიტიკა ფრთხილი და მრავალვექტორულია, ზოგისთვის – პრორუსული, ზოგისთვის კი, პროდასავლური.

საოკუპაციო ხაზთან 6 ნოემბერს მომხდარის გამო „ქართული ოცნება“ იძულებული გახდა, მიემართა საერთაშორისო თანამეგობრობისათვის. იქ მუდმივ მონიტორინგს ახორციელებს ევროკავშირის სადამკვირვებლო. მოქმედებს ევროკავშირის მისიის „ცხელი ხაზიც“.

„ქართული ოცნება“ ევროინტერგაციის პარალელურად აგრძელებს ანტიდასავლურ განცხადებებს. ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის საკითხის გადაწყვეტის მოლოდინში მმართველი პარტიის საკვანძო გზავნილი გახდა ის, რომ შარშან საქართველო უსამართლოდ დაიჩაგრა, როცა ევროკავშირის წევრი ქვეყნის კანდიდატის სტატუსი უკრაინასა და მოლდოვასთან ერთად არ მიიღო.

მმართველ გუნდთან დაახლოებული წრეები მკვეთრ ანტიდასავლურ რიტორიკას არ ეშვებიან და როგორც ჩანს, „ქართული ოცნების“ პოზიციას ახმოვანებენ.

### როგორ შეიძლება გამოიყენოს ხელისუფლებამ ევროკავშირის სტატუსი ანტიდასავლური პოლიტიკის გასატარებლად?

მმართველ პარტიასთან დაკავშირებული „ხალხის ძალის“ წევრი დიმიტრი ქართველიშვილი აცხადებს, რომ თუ ევროკავშირი „უსამართლობის ხაზს საქართველოსთან მიმართებაში წელსაც გააგრძელებს“, საქართველო თავის გზას გამონახავს.

– საქართველოს აქვს ძალიან საინტერესო სტრატეგიულ თანამშრომლობაზე ხელმოწერილი მემორანდუმი ჩინეთთან, რომლის უკან დგას ნახევარი პლანეტა 4-მილიარდიანი მოსახლეობით, თავისი ეკონომიკური, ენერგეტიკული, ფინანსური და საბანკო გეგმებით, რომელთა ნაწილი დაკავშირებულია საქართველოსთან, როგორც უნიკალურ არა მხოლოდ დერეფანთან, არამედ, გზაჯვარედინთან, – ამბობს ქართველიშვილი.

მისი აზრით, კანდიდატის სტატუსის მინიჭება ნიშნავს სამართლიანობისა და შელახული ღირსების აღდგენას.

ამ თემას ავითარებს „პრიმაკოვის ცენტრის“ ხელმძღვანელი საქართველოში დიმიტრი ლორთქიფანიძე. ის განიხილავს სცენარს, თუ რისთვის შეიძლება გამოიყენოს საქართველოს ხელისუფლებამ ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი.

– სტატუსი მხოლოდ იმისთვის გვჭირდება, რომ ვიყოთ უფრო მოქნილნი საგარეო პოლიტიკის განხორციელებაში აღმოსავლეთის, სამხრეთის, ჩრდილოეთის მიმართულებით. სტატუსის მიღების შემდეგ უფრო საინტერესო იქნება საქართველოს მონაწილეობა „3+3“-ის ფორმატში, რომელიც რეგიონული უსაფრთხოებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, – აცხადებს რუსული ორგანიზაციის ქართველი წარმომადგენელი.

ლორთქიფანიძე მოითხოვს კონსტიტუციაში იმ ჩანაწერის გაუქმებას, რომელიც ევროატლანტიკურ კურსს ეხება. „პრიმაკოვის ცენტრის“ წარმომადგენელი არ წარმოადგენს მმართველ პარტიას. ამასთან, მისი გამონათქვამები შესაძლოა მოასწავებდეს „ქართული ოცნების“ გეგმებს.

როცა რუსეთთან ავიამიმოსვლა შეწყვეტილი იყო, ლორთქიფანიძე დადიოდა მოსკოვში, მართავდა შეხვედრებს და ამბობდა, რომ ფრენების აღდგენაზე საქართველოსა და რუსეთს შორის შეთანხმება მიღწეულია. ამ განცხადებებიდან რამდენიმე თვის შემდეგ რუსეთმა ფრენები განაახლა.

უდავოა, რომ ხელისუფლებაში ლორთქიფანიძის პოზიციას გამზიარებლები ჰყავს. მათ ჰგონიათ, რომ ევროკავშირის წევრობის კანდიდატობას სხვა რამისთვის გამოიყენებენ. საინტერესოა, როგორ შეუთავსებენ ანტიდასავლური ძალები რუსეთსა და ჩინეთზე ორიენტირებულ პოლიტიკას რუსეთის უკიდურეს აგრესიასა და თვითნებობას საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებსა და მათ ფარგლებს გარეთ.

---

ეკონომიკა

## რა გავყიდეთ და ვიყიდეთ ევროპის ქვეყნებში

წელს, 9 თვეში საქართველოს სავაჭრო ბრუნვამ 15,910 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა, საიდანაც ევროკავშირზე 20,6% მოდის. საქსტატის მონაცემებით, იანვარ-სექტემბერში ევროპის ქვეყნებთან ვაჭრობა 3,285 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა.

ამასთან, საქართველოდან ექსპორტის მხოლოდ 12,2% მოდის ევროკავშირზე, ხოლო ქვეყანაში იმპორტის 24% უკავია ევროპის ქვეყნებს. უფრო კონკრეტულად, 2023 წელს საქართველოდან ექსპორტირებული იყო 4,607 მლრდ აშშ დოლარის პროდუქტი, აქედან 565,098 მლნ აშშ დოლარის ევროკავშირში.

რაც შეეხება იმპორტს, წელს საქართველოში 11,303 მლრდ აშშ დოლარის საქონელი შემოვიდა, აქედან 2,720 მლრდ აშშ დოლარის ევროპის ქვეყნებზე მოდიოდა.

„ბიზნესპრესნიუსი“ გთავაზობთ პროდუქტების ჩამონათვალს, რაც წელს ვიყიდეთ და გავყიდეთ ევროკავშირში.



**ტოპ-5 იმპორტირებული პროდუქტი:**

მსუბუქი ავტომობილები – 328,008 მლნ აშშ დოლარი; ნავთობი და ნავთობპროდუქტები – 189,699 მლნ აშშ დოლარი; სამკურნალო საშუალებები დაფასოებული – 175,461 მლნ აშშ დოლარი; ტრაქტორები და უნაგირა საწევარები – 84,755 მლნ აშშ დოლარი.

სატელეფონო აპარატები, ფიჭური ქსელებისთვის ან სხვა უსადენო ქსელებისთვის განკუთვნილი ტელეფონების ჩათვლით – 82,625 მლნ აშშ დოლარი.

**ტოპ-5 ექსპორტირებული პროდუქტი:**

მადნები და კონცენტრატები სპილენძის – 261,348 მლნ აშშ დოლარი; სასუქები მინერალური ან ქიმიური, აზოტოვანი – 32,170 მლნ აშშ დოლარი; თხილი და სხვა კაკალი – 30,144 მლნ აშშ დოლარი; ეთილის სპირტი არადენატურირებული, სპირტის კონცენტრაციით 80%-ზე ნაკლები, სპირტიანი სასმელები – 25,075 მლნ აშშ დოლარი; მსუბუქი ავტომობილები – 22,426 მლნ აშშ დოლარი.

## საქართველოში ირანის არანავთობპროდუქციის ექსპორტი 18,2%-ით გაიზარდა

ირანიდან საქართველოში არანავთობპროდუქციის ექსპორტი მიმდინარე წლის პირველ ექვს თვეში, ანუ 21 მარტიდან 22 სექტემბრის ჩათვლით, გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ღირებულების თვალსაზრისით 14%-ით, მოცულობით კი 18,2%-ით გაიზარდა. ინფორმაციას სააგენტო Trend ირანის ისლამური რესპუბლიკის საბაჟო ადმინისტრაციის მონაცემებზე დაყრდნობით ავრცელებს.



6 თვის განმავლობაში ირანმა საქართველოში, დაახლოებით, 94,9 მლნ დოლარის ღირებულების 235 ათას ტონამდე არანავთობპროდუქტები შეიტანა. გასული წლის ანალოგიურ პერიოდში ირანის 83,2 მლნ დოლარის ღირებულების არანავთობპროდუქტების ექსპორტმა საქართველოში, დაახლოებით, 199 ათასი ტონა შეადგინა.

ექსპორტის ძირითადი მოცულობა სოფლის მეურნეობის პროდუქტებს, ფოლადს, სხვადასხვა სახის მილებს, სასარგებლო წიაღისეულს, მინის ჭურჭელსა და ნავთობქიმიურ პროდუქტებს შეადგენდა. ამასთან, მხოლოდ მე-6 თვეში, ანუ 23 აგვისტოდან 23 სექტემბრის ჩათვლით, ირანმა საქართველოში 16 მლნ დოლარის ღირებულების 37,3 ათასი ტონა არანავთობპროდუქტები შეიტანა.

მთლიანობაში, მიმდინარე წლის პირველ ნახევარში ირანის არანავთობპროდუქტების ექსპორტი 24,1 მლრდ დოლარის ღირებულებისაა, ხოლო მოცულობით 67,7 მილიონ ტონას შეადგენს. ეს გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ღირებულებით ნაწილში 2,62%-ით მეტი, ხოლო მოცულობით 29%-ით ნაკლებია.

ცნობისთვის: ირანის არანავთობპროდუქციის ექსპორტში არ შედის ნედლი ნავთობი, მაზუთი და თეთრი ნავთობი, რომლებზეც აშშ-ის სანქციები ვრცელდება. ამ სანქციების გამო ირანი არანავთობპროდუქციის ექსპორტის გაზრდაზე არის ფოკუსირებული, რომ ეკონომიკურ ზეწოლას გაუმკლავდეს.

---

# ირაკლი ღარიბაშვილი: „ჩვენ გავიმარჯვებთ, ჩვენმა ქვეყანამ გაიმარჯვა დღეს, ჩვენმა ხალხმა გაიმარჯვა, გაიმარჯვა ჩვენმა სიმართლემ!“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

თადად გილოცავთ ყველას დღევანდელ აღიარებას, – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

პრემიერის თქმით, დღევანდელი დღე არის დამაგვირგვინებელი და შემაჯამებელი მმართველი გუნდის 11-წლიანი საქმიანობისა.

– რაც მთავარია, მინდა ვთქვა, რომ ჩვენ, გახსოვთ კარგად, შარშან საკმაოდ გულდაწყვეტილი ვიყავით, ვინაიდან საქართველომ ვერ მიიღო მაშინ კანდიდატის სტატუსი. ეს იყო ჩვენთვის ერთგვარი დამაბრკოლებელი და, შეიძლება ასე ითქვას, გულდასაწყვეტი ფაქტი, თუმცა დღეს ამაყად შეგვიძლია ვთქვათ, მივიღეთ დამსახურებულად დღევანდელი დღე. მჯერა, რომ ჩვენი ქვეყანა დეკემბერში მიიღებს კანდიდატის სტატუსს და საბოლოოდ გაფორმდება დღევანდელი გადაწყვეტილება. შეიძლება ითქვას, რომ სხვა რეალობაში აღმოჩნდება ჩვენი ქვეყანა. ეს არის უდავოდ ძალიან ძლიერი წინგადადგმული ნაბიჯი ევროინტეგრაციის გზაზე.

მინდა ერთგვარი შეჯამება გავაკეთო ჩვენი გუნდის მიერ მიღწეული შედეგებისა. დღევანდელი დღე, შეიძლება ასე ვთქვათ, არის ერთგვარი დამაგვირგვინებელი და შემაჯამებელი ჩვენი 11-წლიანი საქმიანობისა, რომელმაც მოიტანა მშვიდობა, სტაბილურობა, ის დიდი ტრანსფორმაცია და ცვლილება, შეიძლება ასე ითქვას, ევროპეიზაციის 10 წელი, შეიძლება ასე ვუწოდოთ ამ მშვიდობიან 10-წლიან პერიოდს, ვინაიდან თუ ვინმემ, რომელიმე ხელისუფალმა და მმართველმა, რაიმე გააკეთა ხელშესახები ევროინტეგრაციის გზაზე, ეს არის „ქართული ოცნება“. ეს არის ასოცირების შეთანხმება, შეგახსენებთ, თავისუფალი ვაჭრობა, უვიზო რეჟიმი, ევროპული პერსპექტივა, რომელიც შარშან მივიღეთ და ახლა უკვე კანდიდატის სტატუსი, რომელიც დეკემბერში საბოლოოდ, მე მჯერა, გაფორმდება. ეს არის მოკლედ შეჯამება ჩვენი მუშაობის, მმართველობის. ქვეყანამ, კიდევ ერთხელ მინდა აღვნიშნო, ბოლო 11 წელიწადში მიაღწია უპრეცედენტო მშვიდობას, სტაბილურობას, მიუხედავად არნახული გამოწვევებისა და გართულებული უსაფრთხოების გარემოსი ჩვენს რეგიონში, – განაცხადა პრემიერმა.

მთავრობის მეთაურის თქმით, შეუძლებელი იქნებოდა ამის მიღწევა, ბიძინა ივანიშვილს და მთლიანად მის გუნდს – „ქართულ ოცნებას“ რომ ისტორიული ცვლილება არ მოეხდინა.

– უნდა ითქვას, რომ ეს ვერ მოხდებოდა და შეუძლებელი იქნებოდა ამის მიღწევა, რომ არ მოეხდინა ის, მე ვიტყოდი, ისტორიული ცვლილება, გარდამტეხი ცვლილება ბიძინა ივანიშვილს და მთლიანად მის გუნდს „ქართულ ოცნებას“, რომელსაც ვაგრძელებთ - ამ დიდ, ეროვნულ საქმეს.

კიდევ ერთხელ მინდა მკაფიოდ განვაცხადო მთავრობის სახელით და ჩვენი გუნდის სახელით, გავაგრძელებთ კოორდინაციას ჩვენს ევროპელ მეგობრებთან. ეს, რა თქმა უნდა, არის ჩვენთვის ძალიან წამახალისებელი, შეიძლება ასე ითქვას, და ჩვენ მოხარული ვართ, რომ ევროკომისიამ შეაფასა და მიიღო ერთადერთი სწორი, ღირსეული, გონივრული და ბრძნული გადაწყვეტილება, რომ გასცა დადებითი რეკომენდაცია სტატუსთან დაკავშირებით.

ჩვენი საბოლოო მიზანი, ბუნებრივია, არის ქვეყნის სრული ინტეგრაცია ევროკავშირში, წევრობა, რასაც, რა თქმა უნდა, სჭირდება გაცილებით უფრო მეტი ძალისხმევა. ეს არის ხანგრძლივი პროცესი, რაც არ დასრულდება 1 და 2 წელში, ეს არის მრავალწლიანი პროცესი, რომელსაც ჩვენი ხალხის კონსოლიდაცია სჭირდება და ჩვენი მთავრობის, მთლიანად ხელისუფლების, ეფექტიანი მმართველობა და იმ რეფორმების გაგრძელება, რომელსაც ჩვენ ბოლო 11 წელია ვახორციელებთ ქვეყანაში.

ეს საბოლოო ჯამში მიგვიყვანს ქვეყნის სრულ ევროპეიზაციამდე, ჩვენი ქვეყნის ტრანსფორმაცია უნდა გაგრძელდეს და საბოლოოდ, ჩვენი მიზანი და დიდი, მთავარი ოცნება არის ჩვენი ქვეყნის გაერთიანება. ეს არის მთავარი მიზანი, რომელსაც ვუახლოვდებით ყოველდღე და მჯერა, დღევანდელი დღე და ისტორიული ნაბიჯი გვაახლოებს ამ დიდ, საერთო ეროვნულ მიზანთან. კიდევ ერთხელ მინდა დიდი მადლობა გადავუხადო ყველას, ჩვენს გუნდს და მივულოცო ამ მიწაზე მცხოვრებ თითოეულ ჩვენ მოქალაქეს დღევანდელი ისტორიული გამარჯვება და აღიარება. მივიღეთ დამსახურებული სტატუსი, ისეთი, როგორსაც იმსახურებს ჩვენი ძლიერი და ამაყი ქართველი ხალხი, – განაცხადა პრემიერმა.

# „ჰოსპიტალში წევს ირაკლი ამირეჯიბი, ისეთივე ნატიფი, როგორც სიცოცხლეში“

ვაგრძელებთ დიალოგს ომის ვეტერან დოდო გუგეშაშვილთან. დღეს გუგეშაშვილი ჭაბუა ამირეჯიბის შვილზე, ირაკლი ამირეჯიბზე გვიამბობს, რომელიც სწორედ აფხაზეთის ომს და სამშობლოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლას შეეწირა. ინტერვიუ ჟურნალ „გუმბათში“ გამოქვეყნდა.

*– ქალბატონო დოდო, როგორ გაიხსენებთ ირაკლი ამირეჯიბს?*

– 1992 წლის ნოემბრის შუა რიცხვებია. ლაბრის ერთ-ერთი მორიგი განთავისუფლების მერე, ბიჭები მორიგი ოპერაციისთვის ემზადებიან. ამ ოპერაციაში ქართველი ერის სასიქადულო კლასიკოსის, ჭაბუა ამირეჯიბის შვილი, ირაკლიც მონაწილეობდა.

მაღალი, ნატიფი გარეგნობის ირაკლის პრინცს ვეძახით. თეთრი „ტულუპის“ სახელოები იდაყვამდე წვდება. ასეთსაც იხდენდა. ლამაზად მოყვანილ თავზე თითქოს უჩინმაჩინის ქუდი ეხუროს, ისე შედის დაზვერვაზე. ბევრჯერ მოჰყოლია მის ასეთ „ვიზიტებს“ სეპარატისტების ჰაერში აწეული შტაბი.

სოხუმიდან ოჩამჩირეში ჟურნალისტები ჩამოვიდნენ, ირინა გოგოსაშვილი და ფრანგი ფრენკ მორუა. ირინას შვილი, 14 წლის ბექა, ბიჭებთან ერთად ერთ-ერთ სახლში „ბინადრობს“. ირინა ჯერ ბექას მოინახულებს, მერე გვერდით სახლში პოზიციებიდან ახლახანს დაბრუნებულ გლდანის „საძმოელებთან“ ერთად მიდის ფრენკ მორუასთან ერთად. ლამფის შუქზეც კი ჩანს ირაკლი ამირეჯიბის და გლდანელების დახვეწილი გარეგნობა. ბიჭებმა და სტუმრებმა მთელი ღამე საუბარში გაათენეს. ფრანგულ ლიტერატურასა და ისტორიაზეც ისაუბრეს, შექსპირის სონეტებიც ინგლისურად წაიკითხეს. ქართველების ინტელექტით და გარეგნობით გაოგნებული ფრანგი დიდხანს არ იღებდა ხმას. მერე „თქვენისთანა ბიჭებს თქვენნაირი შვილების აღზრდა უნდა გევალებოდეთ მხოლოდ, რა დროს ომიაო“, როგორღაც დანანებით უთქვამს. ჭაბუა ამირეჯიბის საპატივსაცემოდ (იუბილარი იყო ბატონი ჭაბუა, ტელეფონით მიულოცა ირაკლიმ მამას) „მრავალჟამიერიც“ დააგუგუნეს. შტაბთან დავხვდით მასპინძლებს და სტუმრებს ჯაბა იოსელიანი და მე. „კამაზის“ ძარაზე ავიდნენ ბიჭები, ჟურნალისტები და ადგილობრივი მაცხოვრებელი მამაკაცი და ქალბატონი. მათ „მოსკვიჩით“ ასევე ოჩამჩირეში გაყვნენ. გეზი სოხუმისკენაა, ტამიშის სისხლიანი გზაა გასავლელი, რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ გიგა გელაშვილი თავისი ბიჭებით მუდმივად სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე ჭიდილით აკონტროლებს, დაბუდებული სნაიპერებისა და შემოპარული „ბოევიკებისგან“ მისი განწყვეტის მცდელობა მაინც ხშირადაა.

ტამიშის მონაკვეთი სასაფლაომდე მშვიდობით გაიარეს მანქანებმა, იქ კი მაღლობიდან ჩასაფრებული სიკვდილი აყეფდა. ზაზა ხუნდაძე და ირაკლი ამირეჯიბი პოზიციებს იკავებენ. მანქანებში მყოფთა სიცოცხლეს მტრისკენ მიმართული ინტენსიური სროლებით იცავენ. მანქანის ძარაზე მყოფი მამაკაცი სნაიპერმა იმსხვერპლა. ირინა გოგოსაშვილი ყუმბარის ნამსხვრევისგან ფეხში დაიჭრა. ირაკლი „მოსკვიჩისკენ“ გარბის, რომ მანქანაში მსხდომ მოქალაქეებს უშველოს, მისწვდა სნაიპერის ტყვია ყურს უკან, ნაძერწ-ნაქანდაკებ ბიჭს.

ხელებით დაუხუჭა ლამაზი თვალები ირაკლის, თვითონაც თავში დაჭრილმა ზაზა ხუნდაძემ. დიდი რისკის ფასად, ფოთლებითა და ბუჩქების ტოტებით „შემოსეს“ ირაკლი, გადამალეს, რადგან არანაირი შანსი არ იყო იმ ღამით განუწყვეტელი სროლების ქარცეცხლში გამოეყვანათ ამირეჯიბი. სეპარატისტები და ჩრდილოეთ კავკასიის კონფედერატები მაღლობებზე ბლომად იყვნენ განლაგებულნი. ოჩამჩირის შტაბში მობრუნდნენ ჩვენები. ზაზა ხუნდაძემ ჯაბა იოსელიანს ირაკლის დაღუპვის ამბავი უთხრა. ვხედავ, როგორ დაეწრიტა სახე სისხლისგან ჯაბა იოსელიანს.

„რა ვუთხრა ჭაბუას?!“ – გახევებული თავის თავს ეკითხება. „შეკრიბე ბიჭები, ირაკლის გამოსაყვანად გავდივარ“, – მავალებს. ნოდარ კირკიტაძეს და კახელებს ვაგზავნი, თუშიც მიჰყვება. ერთ-ერთი პოზიცია დახმარებას ითხოვს. პოზიციის დაკარგვის საშიშროებაა. სასწრაფოდ ვაგზავნი რაზმებს. ჯაბა იოსელიანი „სტარტზე დგას“, თუ ვერ გამოიყვანენ, თვითონ უნდა შევიდეს ირაკლისთან. თბილისში უკვე გავრცელებულ ხმას (რომელიღაც დაჭრილმა ჩაიტანა ამბავი) ბატონ ჭაბუამდეც მიუღწევია. შტაბში მირეკავს. დამდულრულივით ყურმილს ხელი ძლივს წავავლე. ვერც ტყუილს ვაკადრებ და ვერც სიმართლეს ვეუბნები ბოლომდე, ვიდრე ბრძოლის ველიდან არ გამოუყვანიათ. ჩვენები ალყაში არიან, დაღუპულებიც არიან, დაჭრილებიც, მათი ვინაობა ჯერ არ ვიცი. მაშველი რაზმი ჯერ ვერ შედის.

ძლივს ვაბამ თავს ამ ტექსტს. საღამოთი დაბრუნდნენ კახელები, თავიანთი დაჭრილები ჰყავთ მხოლოდ. ვერ გამოიყვანეს ირაკლი. ღამითვე გავიდა დიდი რაზმი, ბატონმა ჯაბამ ხელმძღვანელობა თამაზ ფანჩულიძეს დაავალა. ღამით მის შესვლაზე გადაწყვეტილება ძლივს შევაცვლევინეთ თამაზმა და მე. პოზიციების უმეტესობაზე ერთიანი თავდასხმებია. არავინ იცის, როდის გაარღვევენ ჩვენს პოზიციებს მომხდურები, იქ კი ჯაბა იოსელიანის აუცილებლობა დადგება.

ძაღლები ყეფით აცილებენ ჩვენებს ღამის სიბნელეში. სეპარატისტებს ამხელა რაზმის შესვლა არ გამორჩენიათ. ჩვენებს ყველანაირი მსხვილკალიბრიანი იარაღიდან ესვრიან. შტურმით მიდიან ბიჭები „გაის ტეკამდე“, სადაც



ახლო ირაკლი ამირეჯიბი ეგულებათ. ისვრიან ანუარხოს მთიდან, ჩრდილოეთის ტყვარჩელის მხრიდან, სამხრეთის ზღვის მხრიდანაც.

უკვე მეორე დღეა, მათ ეს ქართველებისგან დიდი შეტევა ჰგონიათ მათი სოფლების და პოზიციების ასაღებად. წარმოდგენა არ აქვთ სეპარატისტებს, რომ თითოეული ჩვენი მეომარი ირაკლი ამირეჯიბის გამოსაყვანად სწირავს სიცოცხლეს ორი დღის მანძილზე.

ქვით ნაშენ შენობასთან ჩასაფრდნენ ზაზა ხუნდაძე და კახა გოზალიშვილი. რუსი „ბოევიკი“ შენიშნეს ახლოს. აცალეს მოახლოება და პოზიციის დაკავება. მერე ზაზამ წყნარად დაუსტვინა. წამოყო თავი მომხდურმა, დაენახა ზაზა და იქვე მიაწვინა. გზა განუწყვეტლივ იცხრილება, ბიჭები მაინც წინ მიიწევენ. წესრიგა, დათო ქიტიაშვილი და რამდენიმე მებრძოლი ბიჭებს „პრიკრიტიას“ უკეთებენ. გავეშებული ბიჭები ტყვიის და ყუმბარმტყორცნების ჭურვების კაკან-ღრჭიალს არას დაგიდევენ. იციან, გზის მეორე მხარეს ირაკლი ამირეჯიბი ელოდებათ. თითქმის ღია კორპუსით მირბის გოზალიშვილი (გოზალა) გლდანელებთან ერთად, მათთან ერთად ილორელი (სოფელია ოჩამჩირეში) მხედრიონის მეთაური, სოსო გოგიძეა, რომელიც არ ინანებს, ისე ადუღებს ავტომატს და ცელავს მტერს. იქვეა ორი გავროშა (რომლებიც წინა ღამითაც დარჩნენ, რომ სხვა ჯგუფისთვის ირაკლის ადგილსამყოფელი ესწავლებინათ), კობა „თუში“ (ისიც პირველ ოპერაციაში მონაწილეობდა კახელებთან ერთად), მარჯვენა მხარე დაიკავეს უშბას ბიჭებმა. წინ ვაჟა ნოზაძე გარბის ტყვიამფრქვევის სროლით, მას მამუკა ბუცხრიკიძე, აჩიკო ძულიაშვილი და ირაკლი ბელთაძე მიჰყვებიან. გაძლიერდა კიდევ უფრო სროლები სასაფლაოს მხრიდან. როგორც ჩანს, სეპარატისტებს ძალები დაემატათ. საშინელ გნიასხრჭიალში არავინ უგდებს ყურს ბებერი მიწის კვნესას!

საიდანღაც, ტარიელ რუაძე (კახელო) გამოვარდა და იმ მიმართულებით გაიჭრა, სადაც ირაკლი ეგულებოდა. ტოტები და ფოთლები არც მოუცილებია, ისე გამოიყვანა კახელომ. ზაზა ხუნდაძემ და ტარიელმა ტანკის უკანა მხარეს დაასვენეს ირაკლი ამირეჯიბი. ამ დროს ახლომდებარე ფაცხიდან სროლა გაძლიერდა. მიზანში ამოიღო ოსტატურად „ტ 55“-ის ტანკისტმა (სხვა ტანკები, რუსეთ-საქართველოს ომის დროს, აფხაზეთში ჩვენ არ გვყოლია) ფაცხა. გვერდით მოჰყვებიან ტანკს ჩვენები, ცეცხლს ადუღებენ ირგვლივ. ესროლა ჭურვი ტანკმა ფაცხას, ნაწილებად დაიშალნენ ფაცხაში მყოფი ჩრდილოკავკასიელები (ჩეჩნები, ადიღეელები) და სეპარატისტები. ახლოს გავარდნილი ჭურვისგან კონტუზია მიიღო ბელთაძემ. ლამის ხელში აუფეთქდა ყუმბარმტყორნის ჭურვი მამუკა ბუცხრიკიძეს (ორი ტყვიაა მოხვედრილი, რაღაც სასწაულით არ აფეთქდა). წესრიგა და ბიჭები ადუღებენ მოწინააღმდეგის პოზიციებს. გამოსვლის საშუალებას აძლევენ ჩვენებს. ბრძოლით გამოდიან ბიჭები შიგნიდან, ფეხდაფეხ მოსდევენ ტყვიები.

ჰოსპიტალში წევს ირაკლი. ისეთივე ნატიფია, როგორც სიცოცხლეში. უცნაური ნათელი გადაჰფენია ჭკვიან შუბლზე. მოწიწებით ვეფერები სახეზე. გულისჯიბეში ირაკლი ამირეჯიბის ნაჩუქარი რეზინის პატარა ზანგის თოჯინა მიდევს (სოხუმის ბრძოლების დროს, ტყვიამ გაგლიჯა საბრალო ზანგუნა, რომელსაც თილისმასავით არ ვიშორებდი). ირაკლისვე ნაჩუქარი ტყავის გადაჭრილთითებიანი ხელთათმანები კვირაიას ჯალათებმა წაიღეს 1995 წლის სექტემბერში.

ირაკლის გამოყვანის მერე, დიდი შეტევა დაგეგმა და განახორციელა ჯაბა იოსელიანმა. ტყვიას, რომელიც მტერს ცხრილავდა, ირაკლის სახელი ერქვა.

ჯაბა იოსელიანის წიგნის „სამი განზომილების“ მესამედ გამოცემის პრეზენტაციაზე (2007 წლის 15 ივნისს), ბატონმა ჭაბუამ წერილი გამოგზავნა. ამ წერილის მოკლე ამონარიდში ნათქვამია:

„ჩემი ირაკლი აფხაზეთში რომ დაიღუპა, ჯაბასთან მივედი ნამდვილი ამბის გასაგებად. აი, ამდენი ადამიანის წინაშე ვფიცავ ჩემი დანარჩენი შვილების სიცოცხლეს, – მიამბობდა, რა და როგორ მოხდა და ცრემლით ტიროდა. ძლივს დავამშვიდე იმით, რომ გავახსენე, – ასეთი მოდგმის კაცები ვართ ჩვენცა და ჩვენი შვილებიც, რომ სამშობლოსათვის თავგანწირვას ცრემლი კი არა, ბოხი შეძახილი სჭირდება, – შენთვის, მამულო, ჩემი სიცოცხლე!

ხომ ასეა, ჯაბავ. ოთხმოცდაექვსისა ვსრულდები, მალე შევხვდებით და კეთილ საუბარში ავწონ-დავწონით, სწორი იყო თუ არა, რომ მხოლოდ საკუთარი ნებით ვიქმენით ყოველივე, რისთვისაც კაცობა გვეყო!“



## რატომ არის კარგი უმი ბოსტნეულის წვენები

**წვენების მიღებისას აუცილებლად გაითვალისწინეთ შემდეგი:**

1. იყავით მომთმენი. გახსოვდეთ, რომ ნატურალური წვენების სახით მიღებული საკვები მთელი ორგანიზმის განმენდას ემსახურება. ამას შესაძლოა ახლდეს ავადმყოფური შეგრძნებანი სხეულის ამა თუ იმ ნაწილში, რაც წვენების უარყოფით ზემოქმედებად არ უნდა მიიჩნიოთ, მით უმეტეს, თუ ისინი ახალია და მომზადების დღესვე გამოიყენება. პირიქით, ეს კიდევ ერთი დამადასტურებელია იმისა, რომ ორგანიზმში დაიწყო განმენდისა და დარღვეული ფუნქციის აღდგენის პროცესი; უნდა გვახსოვდეს: მრავალი წლის მანძილზე დაგროვილი ტოქსინები და წიდები ერთბაშად არ გამოიდევნება. ყოველივე ამას დრო ესაჭიროება.

2. ბევრი ამტკიცებს, რომ სტაფილოს წვენისგან კანი ყვითლდება. ეს არგუმენტი მოკლებულია საფუძველს და ორგანიზმში მიმდინარე პროცესების არცოდნის ბრალია; ისეთივე აბსურდულია, როგორც მტკიცება იმისა, რომ ჭარხლის წითელ პიგმენტს ან ისპანახის მწვანე ქლოროფილს შეუძლია კანში შეღწევა. სიყვითლისა თუ მოყავისფრო ელფერის გაჩენის მიზეზი ისაა, რომ წვენების მიღების შედეგად ღვიძლი იწყებს შეგუბებული ნაღველისა და დაგროვილი წიდების იმაზე მეტი რაოდენობის გამოდევნას, ვიდრე ეს გამოყოფის ორგანოებს შეუძლია და ამის გამო მათი ნაწილი გამოიდევნება კანის ფორების მეშვეობით, რაც სავსებით ნორმალურია. ორგანიზმში თუ ბევრი ტოქსინია, მსგავს მოვლენას მაშინაც შეიძლება ჰქონდეს ადგილი და უეჭველად გაივლის, თუ გააგრძელებთ წვენების მიღებას. კანის ფერის ზემოთხსენებული ცვლილება მოსალოდნელია აგრეთვე გადაღლისა და ძილის ნაკლებობის გამო. სრულფასოვანი დასვენების შემდეგ იგი თანდათან ქრება.

ამგვარად, ნატურალური უმი საკვებისა და



ხილ-ბოსტნეულის წვენების მიღება მოზღვავებული ენერგიის, სიცოცხლისუნარიანობისა და ჩინებული ჯანმრთელობის შეძენაში გვეხმარება.

**ჭარხლის წვენი**

ჭარხლის წვენი ძვირფასი საშუალებაა სისხლში წითელი ბურთულების შესაქმნელად და სისხლის შემადგენლობის გასაუმჯობესებლად, განსაკუთრებით სასარგებლოა ქალებისთვის.

ჭარხლის წვენის ღვინის ჭიქაზე ოდნავ მეტი რაოდენობით მიღებამ შესაძლოა გამოიწვიოს გამწმენდი რეაქცია, კერძოდ: მცირედი თავბრუსხვევა ან გულისრევა. გამოცდილება გვიჩვენებს, რომ პირველ ხანს უმჯობესია მისი ნარევთან დალევა, სადაც სტაფილოს წვენი ჭარბად იქნება. შემდგომ ჭარხლის წვენის რაოდენობა თანდათან უნდა გაიზარდოს, სანამ ორგანიზმი უკეთესად არ გადაიტანს მის გამწმენდ მოქმედებას. ამ წვენის მიღების ნორმაა 1-1,5 ჭიქა დღეში 2-ჯერ.

წითელ ჭარხალში შემავალი კალიუმი და ქლორი წარმოადგენს საუკეთესო საშუალებას ვენების გაგანიერებისა და სისხლის შედედების წინააღმდეგ. ასევე, წითელი ჭარხლის წვენი გახლავთ ღვიძლის, თირკმელებისა და ნაღვლის ბუშტის გამასუფთავებელი საშუალება.

გარდა ამისა, ღ ვიტამინი, რომელიც ბევრია ზემოხსენებულ ნარევში, გვევლინება სისხლის უჯრედებისა და, განსაკუთრებით, სისხლის ბურთულების მშენებლად.

**კომბოსტოს წვენი**

კომბოსტოს წვენი აჩქარებს თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულის მკურნალობას. მას ახასიათებს გამასუფთავებელი თვისებები – ხელს უწყობს ორგანიზმიდან გაზის და ლპობადი პროდუქტების გამოყოფას. წვენი, გარდა გოგირდისა და ქლორისა, დიდი რაოდენობით იოდს შეიცავს. გოგირდი და ქლორი ასუფთავებს კუჭ-ნაწლავის ლორწოვან გარსს. იოდი აჩქარებს ჩიყვით დაავადების მკურნალობას.

სტაფილოსა და კომბოსტოს წვენის ნარევი წარმოადგენს საუცხოო წყაროს ვიტამინისთვის, რომელიც ასუფთავებს ღრძილებს პარადონტოზით დაავადებისას. წვენს ეფექტურად იყენებენ სიმსივნეებისა და კუჭის შეკრულობის წინააღმდეგ. კუჭის შეკრულობა კანზე გამონაყარის ძირითად მიზეზს წარმოადგენს, რომელიც კომბოსტოს წვენის მიღების შედეგად ქრება. წვენში მარილის დამატება დაუშვებელია, ვინაიდან ის ვიტამინებს ანადგურებს.

**სტაფილოს წვენი**

სტაფილოს წვენი შეგიძლიათ დღეში რამდენჯერმე მიიღოთ 0,5-დან 4 ლიტრამდე. ის წარმოადგენს A ვიტამინის ყველაზე მდიდარ წყაროს, რომელსაც ორგანიზმი ადვილად ითვისებს. ამავე წვენში შედის B, C, D, E, G და K ვიტამინების დიდი რაოდენობა. სტაფილოს წვენი აუმჯობესებს მადას, საჭმლის მონელებას და კბილების სტრუქტურას.

უმი სტაფილოს წვენის მიღება ქალებისთვის, რომლებიც ორსულობის ბოლო პერიოდში არიან, ამცირებს სეფსისის ალბათობას ახალშობილთა შორის.

ძუძუმწოვარი ბავშვების დედებისთვის აუცილებელია ის ელემენტები, რომლებიცაა უმი სტაფილოს წვენში. თუ ახალი, კარგი ხარისხის სტაფილოსგან წვენს მოვამზადებთ, მივიღებთ ცოცხალი ორგანული ელემენტებით, ნატრიუმით და კალიუმით, მდიდარ პროდუქტს. გარდა ამისა, იგი შეიცავს კალციუმს, მაგნიუმსა და რკინას. ადამიანის ორგანიზმში ყველა ისინი დიდებულად ერწყმიან ფოსფორის, სილიციუმისა (კაჟბადი) და ქლორის ელემენტებს.

როგორც სხვადასხვა წყლულოვან და კიბოვან დაავადებებთან ბრძოლის საშუალება, უმი სტაფილოს წვენი სასწაულს წარმოადგენს. სტაფილოს წვენის დალევის შემდეგ იწყება ორგანიზმის გასუფთავების რეაქცია.

ეს წვენი არის სიცოცხლის ხანგრძლივობის დაუშრეტელი წყარო.

**ნიახურის წვენი**

ნიახურის წვენის ყველაზე ძვირფას ღირებულებას წარმოადგენს მასში შემავალი ბიოლოგიურად აქტიური ორგანული ნატრიუმის განსაკუთრებით მაღალი პროცენტი, რაც ხელს უწყობს კალციუმის შენარჩუნებას ხსნად მდგომარეობაში.

უმ ნიახურში კალციუმზე 4-ჯერ მეტია ორგანული ნატრიუმი. ეს მის წვენს ყველაზე სასარგებლოს ხდის იმ ადამიანებისთვის, რომლებიც ხშირად იყენებენ კონცენტრირებულ შაქარსა და სახამებელს; მათი შემცველია პური, ნამცხვარი, ღვეზელი, მაკარონი, ბრინჯი, მარცვლოვანი პროდუქტები, კარტოფილი და ა.შ. თეთრი, ყავისფერი და ნებისმიერი სხვა შაქარი, რომელიც განიცდის სამრეწველო დამუშავებას, აგრეთვე კანფეტები, უალკოჰოლო სასმელები, ნაყინი და სხვა, წარმოადგენენ კონცენტრირებულ ნახშირწყლებს.

ყველა ზემოაღნიშნული პროდუქტი მავნე გავლენას ახდენს ორგანიზმზე, ხოლო მათ ხანგრძლივ მიღებას მივყავართ უამრავ დაავადებამდე. აქედან გამომდინარე, კალციუმი ჩვენი ყოველდღიური დიეტის აუცილებელი ელემენტია; მაგრამ ის უნდა იყოს ბიოლოგიურად აქტიური, ანუ ორგანული, რადგან არაორგანული გროვდება ნალექების სახით, ხოლო ბიოლოგიურად აქტიური ნატრიუმისა და სხვა ელემენტების შემწეობით შესაძლებელი ხდება ამ ნალექების ორგანიზმიდან გამოდევნა.

ნიახურის წვენის სხვა წვენებთან ნარევი ძალზე სასარგებლოა და იძლევა ფენომენალურ შედეგს ავიტამინოზისა და სხვა სნეულებების წინააღმდეგ.

ნერვების აშლილობის დროს ნიახურისა და სტაფილოს წვენების ნარევის მიღება ხელს უწყობს ამ აშლილობის დაწყნარებას.

ნიახური ძალზე მდიდარია მაგნიუმითა და რკინით, რომლებიც აუცილებელია სისხლის უჯრედების საკვებად.

# რუსეთი უკრაინაში გადატრიალებას ამზადებს?!




ინფორმაციამ გენერალ ზალუჟნის წინაალმდეგ არსებული შეთქმულების შესახებ მთელი მსოფლიო შეძრა. ცნობა მსოფლიოს ერთ-ერთმა ინფორმირებულმა ადამიანმა ვაშინგტონში სუკ-ის ექს-პრეზიდენტმა იური შვეცმა გაავრცელა. ინფორმაციის გახმოვანებამ ბევრი ვერაფერი შეცვალა. რუსულმა აგენტურამ უკრაინის მიმართ თავისი საქმიანობა კიდევ უფრო გააააქტიურა.

განვითარებულმა პროცესებმა შვეცის სიმართლე დაადასტურა. გაურკვეველ ვითარებაში დაიღუპა ზალუჟნის ახლო მეგობარი და თანამებრძოლი, მაიორი ჩისტიაკოვი. რუსეთის ძირგამომთხრელი საქმიანობა ამით არ დასრულებულა. თანახმად იური შვეცის ინფორმაციისა, უკრაინის თავდაცვის მინისტრის, უმაროვის მაგიდაზე უკვე დევს ბრძანება ზალუჟნის მოხსნის შესახებ.

ნირწამხდარი უმაროვი გავიდა. მიუხედავად ამისა, ზელენსკიმ მისი მოხსნა ვერ გაბედა.

ინფორმაციამ მოსალოდნელი გადატრიალების შესახებ შეძრა უკრაინის ყველა მეგობარი დასავლეთში. აშშ-ის ლიდერმა ბაიდენმა და თავდაცვის მინისტრმა ოსტინმა ამის თაობაზე პირდაპირ განუცხადეს პრეზიდენტ ზელენსკის. მათ ხელი დაადეს ძალებს, რომლებიც გადატრიალებას გეგმავენ. ესენია: უკრაინის პრეზიდენტის ოფისის ხელმძღვანელი ანდრეი ერმაკი და მისი გუნდი. მიუხედავად ამისა, პრეზიდენტი ზელენსკი რუსი მსტოვრების მიმართ რადიკალური მოქმედებისაგან კვლავ თავს იკავებს.

ქვეყანაში კი მდგომარეობა სულ უფრო იძაბება. ფრონტზე გარდატეხის მიღწევა რუსეთმა ვერ შეძლო. ჩაიშალა როგორც ავდეევკის აღება, ისე ამ ქალაქისათვის ალყის შემორტყმის გეგმაც. არ შედგა ე.წ. კოტიოლი, რომლის მოწყობასაც ოკუპანტები ლამობდნენ. ამავე დროს სულ უფრო იძაბება ვითარება კიევში. როგორც ჩანს, მოსკოვი უკრაინისათვის გადამწყვეტი დარტყმის მიყენებას სწორედ აქ აპირებს.

უკრაინის რადაში ჩამოყალიბებულია ანტი-ზალუჟნური კოალიცია. მასში სხვადასხვა ფრაქციის დეპუტატები გაერთიანდნენ. ყველა მათგანს ერმაკი აფინანსებს და აკონტროლებს. ხსენებული ჯგუფი სულ უფრო იზრდება და იკვეთება პარლამენტის მიერ ზალუჟნისადმი უნდობლობის გამოცხადების ალბათობა.

თუ მათ გენერალ ზალუჟნის მოხსნას მიაღწიეს, ეს ომში უკრაინის დამარცხებას ნიშნავს, რადგან ზალუჟნის ერმაკის კადრი შეცვლის. ამ პიროვნებას მტკიცე კავშირები ექნება მოსკოვთან და კრემლის მიერ აბსოლუტურად მართვადი იქნება.

გამომდინარე ზემოთქმულიდან, ერმაკის ხროვის ალაგმვა მთელი უკრაინელი ხალხის, უკრაინული სახელმწიფოებრიობის ინტერესებშია.



## ბაიდენი ვა-ბანკზე წავიდა

აშშ-ის პრეზიდენტმა ბაიდენმა გააკრიტიკა კონგრესის უკანასკნელი დადგენილება, რომელიც ისრაელისა და უკრაინის ცალ-ცალკე დაფინანსებას მოითხოვს. ბაიდენის აზრით, უკრაინა და ისრაელი ერთ პაკეტში უნდა განიხილონ.

აშშ-ის სენატმა დაბლოკა კანონი უკრაინის გარეშე ისრაელისათვის დახმარების აღმოჩენის შესახებ.

## ისრაელის არმიამ ღაზას ცენტრი დაიკავა



ისრაელის არმიამ ღაზას ცენტრი დაიკავა. ამის თაობაზე ისრაელის თავდაცვის მინისტრმა გალატმა განაცხადა.

– ღაზას ცენტრის დაკავება ქუჩის ბრძოლების გაჩაღების საშიშროებას ქმნის, – იტყობინება „დოიჩე ველე".

მოამზადა ნიკა თევზაძემ

კალეიდოსკოპი

## დათვმა ახალგაზრდა მთამსვლელი შეჭამა



იაპონიაში დათვი თავს დაესხა და შეჭამა ახალგაზრდა სტუდენტი, რომელიც ალპინისტურ ექსპედიციაში იმყოფებოდა.

22 წლის კანატო იანაიკე 2 ნოემბერს კუნძულ ჰოკაიდოზე ფუკუსიმას დასახლების მახლობლად იპოვეს. ახალგაზრდა მამაკაცი გარეული ცხოველის მიერ იყო დაგლეჯილი. მისი პიროვნების დადგენა მხოლოდ ორი დღის შემდეგ დნმ-ის ნიმუშის წყალობით მოხერხდა. გაირკვა, რომ იანაიკე ჯერ კიდევ 29 ოქტომბერს გაუჩინარდა. მანამდე კი მან თავის ახლობელს უთხრა, რომ მთა დაისენგენზე ასვლას აპირებდა.

მთამსვლელის ცხედრის აღმოჩენის ადგილის შორიახლოს ასევე ნაპოვნი იქნა დათვის ლეში. ხელისუფლების განცხადების თანახმად, 31 ოქტომბერს იმავე რაიონში გარეული ცხოველი თავს სამ მამაკაცს დაესხა და ორი მათგანი დაასახიჩრა. დათვმა უკან მხოლოდ მას შემდეგ დაიხია, როდესაც დანა რამდენჯერმე ჩაარტყეს. სავარაუდოდ, დათვი ჯერ აინაიკეს დაესხა თავს, ხოლო ორი დღის შემდეგ სამ მამაკაცს, რა დროსაც დანით სასიკვდილო დაზიანებები მიიღო.

პოლიციის თანამშრომლები ცხოველისთვის მისი შიგნეულობის ექსპერტიზის ჩატარებას აპირებენ იმის დასადგენად, სწორედ ის დაესხა თუ არა თავს ოთხივე ადამიანს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

კალეიდოსკოპი

## კენდელ ჯენერი რეკლამისთვის წელზევით გაშიშვლდა

ამერიკელმა მოდელმა კენდელ ჯენერმა ფრანგული ტანსაცმლის მწარმოებელი ბრენდის Jacuemus-ს რეკლამისთვის წელს ზევით შიშველმა გადაიღო ფოტოსურათები. ამ შესაბამისი პუბლიკაცია ინსტაგრამში ბრენდის გვერდზე გამოქვეყნდა.

გამოქვეყნებულ ფოტოსურათებში 28 წლის მანეკენი დივანზე თეთრი ფერის ტრუსის ამარა მწოლიარე პოზირებს. ასევე თავზე წითელი ფერის ქუდი ახურავს, რომელიც თეთრი ფერის ხელოვნური ბეწვითაა მორთული. აღსანიშნავია, რომ კენდელი შიშველ მკერდს ხელებით იფარავს.



კიდევ ერთ ფოტოსურათში კი მოდელი თეთრ პალტოში გამოწყობილი სკამზე მჯდომი და ფეხაწეული პოზირებს, რომელზეც გირლიანდა აქვს შემოხვეული.

## ოქროს უნიტაზის ქურდებს ბრალდება წაუყენეს

დიდ ბრიტანეთში ბრალდება წაუყენეს ოქროს უნიტაზის ქურდებს. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი საერთაშორისო სააგენტო ავრცელებს.



უნიტაზი „ამერიკა", რომელიც 18 კარატის ოქროთი იყო დაფარული, 2019 წლის 19 სექტემბერს ოქსფორდში ბლენჰეიმის სასახლიდან მოიპარეს, რომელიც იმით არის ცნობილი, რომ იქ უინსტონ ჩერჩილია დაბადებული. ტუალეტი თანამედროვე ხელოვნების ექსპოზიციის ნაწილს წარმოადგენდა და მხატვარ-კონცეპტუალისტის მაურიციო კატელენის მიერ გადაჭარბებული სიმდიდრის სატირად იყო ჩაფიქრებული. ექსპონატის დაახლოებითი ღირებულება 4,8 მილიონ ფუნტად იყო შეფასებული. გამოძიების შედეგად შვიდი ადამიანი იქნა დაპატიმრებული. თუმცა თავად ხელოვნების ნაწარმოებს ვერ მიაგნეს. ორშაბათს, 6 ნოემბერს, სამეფო პროკურატურამ განაცხადა, რომ აღნიშნული ქურდობის ფაქტზე ოფიციალურად ბრალი 35-დან 39 წლის ასაკამდე ოთხ მამაკაცს წარედგინა.

უნიტაზი „ამერიკა" სასახლის საკანალიზაციო სისტემასთან იყო შეერთებული. გამოფენაზე დამთვალიერებლებს ინდივიდუალურად მისით სარგებლობას თავაზობდნენ, რათა ამით ხელოვნების ნაწარმოებთან უპრეცედენტო სიახლოვე შეეგრძნოთ. მისმა ქურდობამ კი მნიშვნელოვანი ზარალი მოიტანა და მე-18 საუკუნის შენობის, რომელიც იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ობიექტადაა აღიარებული, დატბორვა გამოიწვია.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სპორტი

## ბათუმის დინამომ თასის ფინალი გაიხსენა



გაიმართა საქართველოს დავით ყიფიანის სახელობის თასის ნახევარფინალური მატჩები და გაირკვა, რომ ტიტულისთვის ბათუმის დინამო და საბურთალო ითამაშებენ. ზღვისპირელები 25-წლიანი პაუზის შემდეგ პირველად გავიდნენ ფინალში, ხოლო საბურთალომ ბოლო ხუთ წელში ეს მესამედ გააკეთა.

**კოლხეთი (ფ)-დინამო (ბთ) 1:3**

**ფოთი. ფაზისი**

0:1 იაკობსენი (50), 1:1 ჯიჯავაძე (67პ), 1:2, 1:3 ფლამარიონი (86, 90)

**კოლხეთი:** კოტლიაროვი, გაბელია, ჯაფიაშვილი, გვალია, ხარშილაძე, ახალაძე, ჯიჯავაძე, ჩიქოვანი (გვასალია 57), ხარებავა (ოლხოვი 57), სიჭინავა, ლ.კოხრეიძე (ზურაბიანი 83)

**დინამო:** ჩიჩკანი, ჩაბრაძე, ბაგრატიონი, ბალიჩი, ქაფიანიძე, მოსიაშვილი, იაკობსენი, ვიტინიო (ზარია 37), ც.ფაცაცია, ლუდუშაური (ფლამარიონი 57), თ.კაპანაძე (ვაწაძე 77)

**გაძევება:** სიჭინავა (53), ჩაბრაძე (90)

ფოთი დიდ ფეხბურთს მონატრებული იყო და „ფაზისის" სტადიონი თასის ნახევარფინალურ მატჩს სრული ანშლაგით შეხვდა. ფოთელმა გულშემატკივარმა ნამდვილი საფეხბურთო გარემო შექმნა, გუნდმაც იბრძოლა, მაგრამ სასურველ შედეგს ვერ მიაღწია.

ფოთელი გულშემატკივარი ქუთაისის ტორპედოს დამარცხების იმედიანად იყო და ფინალშიც გასვლასაც უმიზნებდნენ, მაგრამ სენსაცია არ მოხდა. ერთია, ანდრეი დემჩენკოს გუნდს გაუჭირდა. მით უფრო, რომ დიდი დრო მეტობაში გაატარეს.

კოლხები მეტოქეს არაფერს უთმობდნენ. 86-ე წუთამდე რიცხობრივ უმცირესობაში მყოფნი თამაშის მინიმუმ დამატებით დროში გადაყვანის შანსს ინარჩუნებდნენ, მაგრამ კლასმა თავისი გაიტანა.

უგოლო პირველი ტაიმის შემდეგ ანგარიში იაკობსენმა გახსნა. მალევე მოედნიდან დათა სიჭინავა გააძევეს, მაგრამ კაცნაკლულმა კოლხებმა პენალტი მოიპოვეს და ჯიჯავაძემ ანგარიში გაათანაბრა. მატჩის ბოლო ჯოკერი ფლამარიონის იყო – შეცვლაზე შესულმა ფეხბურთელმა ოთხ წუთში ორი გოლი გაიტანა და მატჩის ბედი გადაწყვიტა.

ბათუმის დინამო 1998 წლის შემდეგ თასის ფინალში პირველად ითამაშებს.

**საბურთალო-სამგურალი 2:1**

**თბილისი. დავით პეტრიაშვილი**

1:0 ნონიკაშვილი (2), 1:1 ხორხელი (47), 2:1 სილა (49)

**საბურთალო:** კუპატაძე, ც. კაპანაძე, ჩადუნელი, ჯგერენაია, ჯინჯოლავა, შ.ნონიკაშვილი (კომახიძე 79), ქარდავა, გ.მამაგეიშვილი (ჩამბა 87), ო.მამაგეიშვილი, ტაბატაძე (ლ.ნონიკაშვილი 68), სილა (გ.კოხრეიძე 87)

**სამგურალი:** შოვნაძე, კიკაბიძე, პატარკაციშვილი, მარკოვინა, კალანდარიშვილი, არტური (ლ.ხორხელი 46), ლომინაძე, ლიმა (ნ.ხორხელი 46), დარცმელია, გომესი (ა.ვერულიძე 82), იკპე (ჩიხლაძე 87)

საბურთალოელებს ძალიან დაეხმარა ადრეული გოლი, რომელიც მე-2 წუთზე ცოტნე კაპანაძის პასით შოთა ნონიკაშვილმა გაიტანა. საერთოდაც, პირველი ტაიმი დედაქალაქელთა უპირატესობით მიმდინარეობდა და კიდევ სამჯერ შეეძლოთ გატანა, მაგრამ წყალტუბოელთა მეკარე ლევან შოვნაძე შესანიშნავად ირჯებოდა.

სამგურალმა მეორე ტაიმი ცვლილებებით დაიწყო და ლუკა ხორხელმა დასაწყისშივე გაათანაბრა ანგარიში, მაგრამ ორ წუთში, კვლავ კაპანაძის პასით, საბურთალო შეიკნე სილამ ისევ დააწინაურა.

მატჩის დარჩენილი ნაწილი ვერ იყო ისეთი სანახაობრივი. საბურთალოელები ანგარიშის შენარჩუნებას მშვიდად ცდილობდნენ, მაგრამ ეს არ უჭირდათ, რადგან სამგურალი ქაოსურად უტევდა.

ყველაზე კარგი შანსი ბექა დარცმელიას ჰქონდა, რომლის საჯარიმო დარტყმა ლაზარე კუპატაძემ მოიგერია.

ამრიგად, საქართველოს დავით ყიფიანის სახელობის თასის ფინალში ერთმანეთს საბურთალო და ბათუმის დინამო შეხვდებიან. ტიტულისთვის გადამწყვეტი ბრძოლა 6 დეკემბერს მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე გაიმართება.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

კალეიდოსკოპი

## ქალი სამშობიაროში შეიპარა და მძინარე დედას ბავშვი მოპარა



ბრაზილიაში 19 წლის ქალი მას შემდეგ დააპატიმრეს, როდესაც მან სამშობიაროდან ახალშობილი მოიპარა.

კუანე მალაკიასი რიო-დე-ჟანეიროში მდებარე მუნიციპალურ სამშობიაროში პირველ ნოემბერს ღამით შეიპარა. ის შევიდა პალატაში, სადაც სხვებთან ერთად იმყოფებოდა 27 წლის ნივეა რაბელო და მისი შვილი რავი კუნიო მოიპარა. მალაკიასმა ბავშვი მოზრდილ ჩანთაში მოათავსა და თავის სახლში წაიყვანა, რომელიც საავადმყოფოდან დაახლოებით რვა კილომეტრში მდებარეობს.

მალე ბავშვის დაკარგვა ახალშობილის ნათესავებმა შენიშნეს, რომლებიც მის დედასთან ერთად სამშობიაროში იმყოფებოდნენ და ეძინათ. მალაკიასი დანაშაულის ჩადენიდან ექვს საათში იპოვეს და დააპატიმრეს. ხელისუფლების წარმომადგენლებმა ახალშობილი სასწრაფოდ საავადმყოფოში დააბრუნეს და მისი ოჯახის წევრებს ჩააბარეს. სამშობიაროს თანამშრომლების აზრით, მალაკიასმა, სავარაუდოდ, დაწესებულებაში აივნიდან შეაღწია.

აღსანიშნავია, რომ ახალშობილის გამტაცებელს ხუთი წლის გოგონა ჰყავს და მისი განცხადების თანახმად, მეორე ბავშვზეა ფეხმძიმედ. დაკითხვის დროს კი მალაკიასი ამტკიცებდა, რომ ახალშობილი რავი კუნია მას ეკუთვნის.

## ფარულად შეჭმულმა ნამცხვარმა ქალს სიცოცხლე შეუნარჩუნა



დიდ ბრიტანეთში ქალმა საშობაო ინგლისური ნამცხვარი შეჭამა, შემდეგ მკერდიდან ნამცეცები ჩამოიბერტყა და სიმსივნე აღმოიჩინა.

2022 წლის 11 ნოემბერს ქალაქ უოლსონის მკვიდრმა 49 წლის ჯული პიკერინგმა სადილის წინ ფარულად შეჭამა ნამცხვარი.

– ჩვენთან ოჯახში წესად გვაქვს, სადილის წინ არ უნდა შეჭამო რაიმე სასუსნავი. ამიტომ, როდესაც გავიგონე, რომ ერთ-ერთი ბავშვი კიბეებზე ჩამორბოდა, მტკიცებულებების მოშორება გადავწყვიტე, – იხსენებს ქალი, რომელმაც სწრაფად ჩამოიბერტყა ნამცეცები და ამ დროს მკერდზე გამაგრებული ადგილი აღმოაჩინა.

პიკერინგმა ექიმს მიაკითხა და გამოკვლევა ჩაიტარა. 2023 წლის იანვარში მას მკერდის სარძევე ჯირკვლის მესამე სტადიის ავთვისებიანი სიმსივნე დაუდგინეს. ქალს ექვსი მძიმე ქიმიური თერაპიის ჩატარებამ მოუწია, რის შემდეგაც ორმხრივი მასტექტომია ჩაუტარდა და მკერდის იმპლანტები ჩაუდგეს. ამ დროისთვის მისი ავადმყოფობა რემისიის სტადიაშია გადასული.

– არ ვიცოდი, რომ კიბოს აგრესიული ფორმა მქონდა და რომ არა ნამცხვრის ნამცეცები, შესაძლოა, დღეს ყველაფერი სულ სხვაგვარად ყოფილიყო, – განაცხადა პიკერინგმა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

## განცხადებები

● ოპერაციის გარეშე!!! საგვარეულო მცენარეული ნაკრების სიროფი: 1. „პლანტა" – ჩიყვი (კვანძოვან-კისტოზური, აუტოიმუნურიც); 2. „პლანტა-გლანდა" – ჩირქოვანი გლანდები, ადენოიდები, ხვრინვა; 3. „პლანტა+" – მასტოპათია (კვანძები), ფიბროადენომატოზული საშვილოსნო, მომატებული პროლაქტინი, უნაყოფობა. მისამართი: თამარ მეფის 25. მწვანე აფთიაქი, ტელ: 577-52-88-41.

● ფიტნეს ყავა!!! გასახდომი ყავა სამმაგი ეფექტით!!! აჩქარებს დაქვეითებულ მეტაბოლიზმს, აწესრიგებს პროლაქტინს! 1 ქილა – 1 თვის სამყოფი, გამდიდრებული ნალექიანი ყავა – 30 ლარი. მისამართი: თამარ მეფის 25. მწვანე აფთიაქი, ტელ: 577-52-88-41.

● მამაკაცებისთვის: სქესობრივი უძლურების, შარდსასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის, ადენომის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-ნორმალიზება, პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობის, წვის, ტკივილის, ქავილის, გაორებული, წყვეტილი და უნებლიე შარდვის (ბავშვებშიც!) აღმოფხვრა, ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციებისგან გაწმენდა, რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება სწრაფი კვლევებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოპოროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრით, სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილის, გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა. სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, დაბუჟების, კრუნჩხვების მოხსნა, გაჯანსაღება საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციები სახსრების 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, მრავალწლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-91-37-65 ან 247-58-83.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა – რეალური გამოსავალი!!! ნევროზის, დეპრესიის, შიშების, უძილობის, აკვიატებული აზრების, აგრესიის, „თეთრი ცხელების", ძილის პროცესების დარღვევის, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების მოწესრიგება გონებრივი შესაძლებლობების აღდგენით, ღვიძლისა და სისხლის გაწმენდა (დეტოქსიკაცია) საჭირო კვლევებით. ტელ: 599-72-21-38.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ორი მერვედფინალისტი ცნობილია, შახტარმა ბარსელონას მოუგო



ჩემპიონთა ლიგის მეოთხე ტურის პირველი დღის შემდეგ ორი მერვედფინალისტი უკვე ცნობილია. თუმცა, ორივე გუნდი ერთი ჯგუფიდან არის.

E ჯგუფში მადრიდის ატლეტიკომ გლაზგოს სელტიკი 6:0 გაანადგურა. დიეგო სიმეონეს გუნდიდან დუბლი ანტუან გრიზმანმა და ალვარო მორატამ შეასრულეს. თითო გოლი ლინოსა და საულის ანგარიშზეა.

„როხიბლანკომ" შოტლანდიურ გრანდს ყველაფერში აჯობა, რომელიც ტაიმზე მეტ ხანს რიცხობრივ უმცირესობაში თამაშობდა.

ამავე ჯგუფში ლაციომ კონკურენტ ფეიენოორდთან უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოიპოვა და ჯგუფიდან გასვლის შანსი ბევრად გაიუმჯობესა.

გადამწყვეტი გოლი ჩირო იმობილემ ტაიმის ბოლო წუთზე გაიტანა.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ატლეტიკო | 4 | 2 | 2 | 0 | 12-5 | 8 |
| 2.ლაციო | 4 | 2 | 1 | 1 | 5-5 | 7 |
| 3.ფეიენოორდი | 4 | 2 | 0 | 2 | 7-5 | 6 |
| 4.სელტიკი | 4 | 0 | 1 | 3 | 3-12 | 1 |

F ჯგუფში, რომელსაც „სიკვდილის ჯგუფს" უწოდებენ, სიტუაცია ძალიან დაიძაბა და შემდეგ ეტაპზე გასვლის შანსი ოთხივე გუნდს აქვს.

მილანმა შინ პარი სენ-ჟერმენი 2:1 დაამარცხა. არადა, ანგარიში მილან შკრინიარმა გახსნა, მაგრამ რაფაელ ლეაუმ მალევე უპასუხა. გამარჯვების გოლი კი, ფრანგულ გუნდს ფრანგმა ოლივიე ჟირუმ გაუტანა. იტალიელებს კიდევ არაერთი მომენტი ჰქონდათ, თუმცა არც ფრანგები იყვნენ უსაქმოდ, ორჯერ ბურთი ძელს გაარტყეს, და მაინც, მოგებას უფრო მილანი იმსახურებდა.

დორტმუნდმა ნიუკასლი 2:0 დაამარცხა. გოლები ფიულკრუგმა და ბრანდსმა გაიტანეს და გერმანული გუნდი პირველ ადგილზე გადაიყვანეს.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დორტმუნდი | 4 | 2 | 1 | 1 | 3-2 | 7 |
| 2.პსჟ | 4 | 2 | 0 | 2 | 7-6 | 6 |
| 3.მილანი | 4 | 1 | 2 | 1 | 2-4 | 5 |
| 4.ნიუკასლი | 4 | 1 | 1 | 2 | 4-4 | 4 |

G ჯგუფში ყველაფერი გაირკვა. მანჩესტერ სიტი და ლაიფციგი მიმდინარე სეზონის პირველი მერვედფინალისტები არიან.

ინგლისელებმა 3:0 აჯობეს იანგ ბოიზს. ერლინგ ჰალანდმა დუბლი შეასრულა. კიდევ ერთი გოლი ფოდენის ანგარიშზეა.

გერმანელებმა კი, სერბეთში ცრვენა ზვეზდას სძლიეს. ლაიფციგი სიმონსის სწრაფი გოლით დაწინაურდა, რასაც ოპენდამ მეორე მიაყოლა. მესამე გოლიც გერმანელების იყო – ჰენრიხსმა საკუთარ კარში შეაგდო. აი, სერბებმა კი, მეტი ვერაფერი გააზერხეს.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სიტი | 4 | 4 | 0 | 0 | 12-3 | 12 |
| 2.ლაიფციგი | 4 | 3 | 0 | 1 | 9-6 | 9 |
| 3.ცრვენა ზვეზდა | 4 | 0 | 1 | 3 | 5-10 | 1 |
| 4.იანგ ბოიზი | 4 | 0 | 1 | 3 | 4-11 | 1 |

H ჯგუფში სენსაციაც დატრიალდა და, სასიამოვნოა, რომ ამ საქმეში გიორგი გოჩოლეიშვილის წვლილიც ურევია.

გოჩოლეიშვილისა და ირაკლი აზაროვის დონეცკის შახტარმა ბარსელონას გერმანიის ქალაქ ჰამბურგში უმასპინძლა და დანილო სიკანის გოლით 1:0 დაამარცხა.

საგოლე პასი გოჩოლეიშვილის აქტივშია – მე-40 წუთზე მარჯვენა ფლანგიდან შესანიშნავად ჩააწოდა, სიკანმა თავით გაიტანა.

ჩვენებურს მეორე ტაიმის დასაწყისში გოლის გატანა თავადაც შეეძლო – საჯარიმოში მცველი მოატყუა, მაგრამ მახვილი კუთხიდან მისი დარტყმა მარ-ანდრე ტერ შტეგენმა მოიგერია.

პორტუმ ანტვერპენს ადვილად აჯობა – 2:0. გოლები ევანილსონმა და პეპემ გაიტანეს.

აღსანიშნავია, რომ პეპე ჩემპიონთა ლიგის ისტორიაში ყველაზე ხანდაზმული ფეხბურთელია, რომელმაც ამ ტურნირზე გოლი გაიტანა. ანტვერპენთან მატჩისას პეპემ გოლი 40 წლისა და 254 დღის ასაკში გაიტანა და ფრანჩესკო ტოტის შედეგი (38 წლის და 59 დღის) გააუმჯობესა.

ისიც უნდა ვთქვათ, რომ წინა ტურში პეპე ყველაზე ხანდაზმული ფეხბურთელი გახდა, რომელმაც ჩემპიონთა ლიგაზე ითამაშა. პორტუგალიელმა მაშინ ალესანდრო კოსტაკურტას რეკორდი გააუმჯობესა.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 4 | 3 | 0 | 1 | 8-2 | 9 |
| 2.პორტუ | 4 | 3 | 0 | 1 | 9-3 | 9 |
| 3.შახტარი | 4 | 2 | 0 | 2 | 6-7 | 6 |
| 4.ანტვერპენი | 4 | 0 | 0 | 4 | 3-14 | 0 |

# გიორგი ქოჩორაშვილი: „ყოველდღიური სწავლა ბევრს გაძლევს"



საქართველოს ნაკრებისა და ესპანური ლევანტეს ფეხბურთელმა გიორგი ქოჩორაშვილმა ესპანურ მედიასთან საინტერესო თემებზე ისაუბრა.

შეგახსენებთ, ქოჩორაშვილმა ბოლო ტურში საჯარიმო დარტყმით გოლი გაიტანა, რაც ლევანტეს ქომაგების თვალწინ პირველი გამოდგა.

**გიორგი ქოჩორაშვილი:**

– როცა სარეზერვო გუნდში ვიყავი, პანდემიის დროს პირველ დივიზიონში მიწევდა თამაში და გულშემატკივართა მხარდაჭერა არ მიგრძნია. ვიცოდი, როგორ ადგილას მივდიოდი (კასტალია) და როგორ გულშემატკივრებთან ვაპირებდი თამაშს, მაგრამ რაც შემდეგ მოხდა, არ ველოდი. ეს იყო გარდამტეხი მომენტი. თავი ფეხბურთელად ვიგრძენი.

2019 წლის შემდეგ ბევრჯერ მიფიქრია, ლევანტეს ფანების წინაშე გოლს როგორ ვზეიმობდი. ახლა ეს რეალურად ხდება და ძალიან ბედნიერი ვარ. როცა ყველაფერი კარგად არ მიდიოდა, სარეზერვო გუნდში ტრავმებიც მქონდა, ამ გრძნობას კარგავ. მაგრამ ლევანტესა და კასტელონის ნდობით ახლა ისევ სიამოვნებას ვიღებ.

***– თავს იდეალურად რომელ პოზიციაზე გრძნობ?***

– მომწონს ბურთით თამაში. ბურთის გარეშეც შემიძლია, მაგრამ ჩემი თამაშის სტილი ბავშვობიდან ბურთთანაა დაკავშირებული. საქართველოში 6 ნომერზე დავიწყე, მაგრამ პოზიციას ეტაპობრივად მიცვლიდნენ და სხვა ადგილებზე თამაშიც ვისწავლე. მინდა ვიყო ფეხბურთელი, რომელიც მოედანზე როგორც შეტევაში, ასევე დაცვაში დომინირებს. რომელსაც შეუძლია ითამაშოს და წვლილი შეიტანოს იქ, სადაც გუნდს სჭირდება. ამიტომ ვცდილობ ყოველდღე მოვუმატო. თუ არჩევა მომიწევს, იდეალური პოზიცია 8 ნომერია, რადგან მაშინ შეგიძლია ყველგან იყო.

***– გუნდში მუდმივად კონკურენცია გქონდა, ახლა ეს არ გაშინებს?***

– ყველა ფეხბურთელი იტყვის, რომ თამაშს იმსახურებს. მომწონს, როცა ჩემს პოზიციაზე ორი ან სამი ძალიან მაღალი დონის მოთამაშეა, რადგან ეს უფრო მეხმარება. სამი ან ოთხი თამაში, რომელსაც არ თამაშობ, არ ნიშნავს, რომ არ ვარჯიშობ. მუდმივად ამაღლებ დონეს და იზრდები, როგორც მოთამაშე, ეჯიბრები კონკურენტებს. კარგი გაგებით, არასოდეს არავის მეშინოდა. ვიცი, რომ შეიძლება ახლა არა, მაგრამ ხვალ ვარჯიში და მუშაობა შედეგს გამოიღებს და ყველაფერი კარგად იქნება. გავაგრძელებ შრომას და არ აქვს მნიშვნელობა, რამდენი წუთი მაქვს სათამაშოდ, რადგან ყოველდღიური სწავლა ბევრს გაძლევს. მოედანზე, ვეცდები, ყველაფერი გავილო და ყოველთვის მზად ვიქნები იმისთვის, რაც გუნდს სჭირდება.

***– იყო პერიოდი, როდესაც გუნდს წარუმატებელი სეზონებიც ჰქონდა.***

– არის რაღაცები, რაც უნდა დაივიწყო, მაგრამ უნდა ისწავლო. ვიცით, რა შეცდომები დავუშვით და რა არ უნდა გავიმეოროთ. მაქსიმალურად უნდა ვიმუშაოთ, რათა მოვემზადოთ ლეგანესთან მატჩისთვის, რათა ჩვენი საუკეთესო ვერსია წარმოვაჩინოთ. ბევრი ტრავმირებული გვყავს, მაგრამ შეგვიძლია კარგად ვითამაშოთ.

***– ბოლო გოლი ჯარიმით გაიტანე. თავიდანვე იცოდით, რომ სტანდარტულს შენ შეასრულებდი?***

– თამაშების წინა დღეს ჩვენ ყოველთვის ვვარჯიშობთ. პაბლოც, დელაც და კანტეროც ძალიან კარგად ურტყამენ. ამ 2-3 წლის განმავლობაში ბევრს ვმუშაობდი, ყოველდღე ვვარჯიშობდი და მაქვს ეს თავდაჯერებულობა. ჯარიმა დაინიშნა, პაბლოს ვუთხარი, რომ ძალიან თავდაჯერებული ვიყავი და დარტყმას ვაპირებდი. ვინც თავს ყველაზე თავდაჯერებულად გრძნობს, შეუძლია სტანდარტული მან შეასრულოს, რადგან ჩვენ, ყველანი კარგი დამრტყმელები ვართ და ეს ფუფუნებაა, რომლითაც უნდა ვისარგებლოთ.

***– გიორგი მამარდაშვილთან ერთად, ვალენსიაში ცხოვრობ, როგორი ურთიერთობა გაქვთ?***

– როცა დრო გვაქვს, ვცდილობთ, ერთად ვიყოთ. ბევრჯერ ჩვენი თავისუფლება არ ემთხვევა, მაგრამ ნაკრებში დაახლოებით ათი დღე ერთად ვართ. სულ მალე გვაქვს სანაკრებო მატჩები და გვინდა, კარგად ვითამაშოთ და გავიმარჯვოთ.

***– საქართველოში ფანების კუმირი ხარ?***

– არა, ასეთი კვარაცხელიაა, რომელიც ყველას უყვარს და მსოფლიო დონის ვარსკვლავია. მე ვარ და ვიქნები თავმდაბალი მოთამაშე. ყველაფერს გავაკეთებ, რომ მაღალ დონეზე ვითამაშო. კასტალიაში უფრო მეტ სიყვარულს ვგრძნობ, ვიდრე საქართველოში. მეგობრები ჩამოვიდნენ ჩემ სანახავად, წავიყვანე სიუტატსა და კასტალიაში. იქ გამაჩერეს ფოტოების გადასაღებად და იმდენად დიდი სიყვარული გამოიჩინეს, რომ ჩემმა მეგობრებმა მითხრეს, რომ ასე მათ არ ვუყვარვარ...

24 წლის ქართველმა ფეხბურთელმა ლა ლიგა 2-ის მიმდინარე სეზონში ჩატარებულ 11 მატჩში 2 გოლი გაიტანა. ლევანტე კი, 24 ქულით მე-6 ადგილზეა და მომდევნო ტურში 10 ნოემბერს, ლეგანესს ესტუმრება.

# გიორგი გოჩოლეიშვილმა ბარსელონასთან საგოლე პასი გააკეთა



შახტარმა ბარსელონა დაამარცხა ანგარიშით 1:0 და ერთადერთი გოლი დიმიტრი სიკანის ანგარიშზეა, რომელსაც საგოლე პასი გიორგი გოჩოლეიშვილმა გაუკეთა. გიორგიმ შესანიშნავი შეხვედრა ჩაატარა და ის მთელი მატჩის მანძილზე ძალიან აქტიური იყო. ბარსელონას თითქმის არ ჰქონდა საგოლე მომენტები და შეიძლება ითქვას, რომ შახტარმა გამარჯვება დაიმსახურა.

შესაძლოა, ამ თამაშის შემდეგ გოჩოლეიშვილმა ევროპული საფეხბურთო გრანდების ყურადღება დაიმსახუროს.

*მოამზადა ბექა გოგინაშვილმა*

# 19 წლამდე ნაკრები მზადებას შეუდგა

საქართველოს 19 წლამდე ნაკრები ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო მატჩებისთვის მზადებას იწყებს.

ვასილ მაისურაძის გუნდი კვიპროსის, მოლდოვისა და ესპანეთის შესაბამის ასაკობრივ ნაკრებებს გაეჯიბრება. ქართველმა სპეციალისტმა მოახლოებული მატჩებისთვის 23 ფეხბურთელი გამოიძახა:

**მეკარეები:** სოსო კოპალიანი (ლოკომოტივი), გიორგი ბედიაშვილი (გაგრა), რეზი კურტანიძე (საბურთალო);

**მცველები:** დავით ბუკია (ლოკომოტივი), თენგიზ გობეშია, გელა სადღობელაშვილი, ნიკოლოზ ცეცხლაძე (ყველა დინამო თბ), სანდრო ნარიმანიძე, გიორგი გოგსაძე (ორივე საბურთალო), ამირან ტყეშელაშვილი (ტორპედო), აკაკი გიუნაშვილი (ფროზინონე, იტალია), ნიკოლოზ ჩიქოვანი (სიონი), დავით ფალავა (დინამო ბთ);

**ნახევარმცველები:** ლექსო ფეიქრიშვილი, გიორგი ცეცხლაძე, ათული მაშავა, ნიკოლოზ ნინიძე (ყველა დინამო თბ), საბა გეგუჩაძე (საბურთალო), დაჩი ლორთქიფანიძე (კრემონეზე, იტალია);

**თავდამსხმელები:** ალეკო ბასილაძე (ტორპედო), სანდრო ავალიანი (საბურთალო), საბა სამუშია (ანორთოსი, კვიპროსი), ლუკა შეროზია (დინამო თბ).

საქართველოს ნაკრები სამივე მატჩს თბილისში, მიხეილ მესხის სათადარიგო სტადიონზე ჩაატარებს. თამაშებზე დასწრება გულშემატკივარს უფასოდ შეეძლება, კალენდარი კი ასეთია:

**15 ნოემბერი:** საქართველო-კვიპროსი (მესხი 2; 15:00); ესპანეთი-მოლდოვა (მესხი 1; 17:00);

**18 ნოემბერი:** საქართველო-მოლდოვა (მესხი 2; 15:00); ესპანეთი-კვიპროსი (მესხი 1; 17:00);

**21 ნოემბერი:** საქართველო-ესპანეთი (მესხი 2; 15:00); მოლდოვა-კვიპროსი (მესხი 1; 15:00);

2024 წლის ევროპის 19 წლამდე ევროპის ჩემპიონატს, 15-28 ივლისის ჩათვლით ჩრდილოეთ ირლანდია უმასპინძლებს. ტურნირის ფინალი ქვეყნის მთავარ სტადიონზე, ბელფასტში, „უინძორ პარკზე" გაიმართება.

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

## კალეიდოსკოპი

# შიშველმა სტუდენტებმა ფოტოსურათები ძროხებთან გადაიღეს



ახალი ზელანდიის მესსის უნივერსიტეტის სტუდენტებმა, მომავალმა ვეტერინარებმა, სტუდენტური ჩვეულება აალორძინეს და საქველმოქმედო კალენდრისთვის გაშიშვლდნენ.

წარსულში უმაღლესი სასწავლებლის მესამეკურსელები ასეთ კალენდარს ყოველ წელს უშვებდნენ. თუმცა ეს ტრადიცია 2020 წელს შეწყდა. ამჯერად გადაღებებში მონაწილეობა 50 მოხალისემ მიიღო, რომელთა შორის იყვნენ როგორც ბიჭები, ისე გოგონები.

გადაღებებისთვის სრულიად გაშიშვლდნენ, თუმცა ინტიმურ ადგილებს სტეტოსკოპებით და სხვა ხელსაწყოებით იფარავდნენ და ფონად ძროხებს, ტრაქტორებს და სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკას იყენებდნენ.

ალნიშნული აქციის ორგანიზატორების თქმით, კალენდრის გაყიდვიდან შემოსულ თანხას საქველმოქმედო ორგანიზაციას გადაურიცხავენ, რომელიც ფსიქიკური პრობლემების მქონე შეჭირვებულ ადამიანებს ეხმარება.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. ამერიკის სტეპებში ბინადარი მგელი; 2. ეტლში შებმული ადამიანი ინდოეთში; 3. მარადმწვანე ხვიარა, მცოცავი მცენარე; 5. ერთ-ერთი პირველი ქართული საბავშვო ჟურნალი; 6. პოპულარული ბალ-რესტორანი ძველ თბილისში; 7. დანიის, შვედეთის, ნორვეგიის მეფეთა ტიტული; 11. ავტონომიური ოლქი ესპანეთში; 13. პოპულარული ტყე-პარკი ვენაში; 14. საინფორმაციო ბეჭდვით გამოცემათა ერთობლიობა; 15. მომთაბარე არაბი; 16. ქალის როლების შემსრულებელი მამაკაცი მსახიობი იაპონურ თეატრში; 17. უნგრეთის პრემიერ-მინისტრი; 19. ტყემლის ერთ-ერთი ჯიში; 20. ალასკის ადმინისტრაციული ცენტრი.

**თარაზულად:** 1. შენობის, ნაგებობის ჩონჩხი; 4. ამერიკელი ზანგების სიმებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი; 8. ყალბი, არანამდვილი რამე; 9. მუსლიმანური სამლოცველო; 10. ქვევრიდან ღვინის ამოსაღები, აყიროსგან დამზადებული გრძელტარიანი ჭურჭელი; 12. ფრანგი კომიკოსი; 14. ფულის ერთეული ურუგვაიში; 15. ზღვისპირა კურორტი აფხაზეთში; 16. ბერძნული ანბანის ბოლო ასო; 18. ღვინის, ვაზის პატივსაცემი რიტუალი ძველად საქართველოში; 21. მონასტერი ოჩამჩირის რაიონში; 22. ტელეკომპანია „სი-ენ-ენ"-ის მფლობელი; 23. ქართული ხალხური სიმებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ჯანაოზი; 2. კინგსტონი; 3. მაჭახელა; 4. ჩამპინო; 5. ბეკარი; 9. ტავრია; 11. დათვები; 12. ხარაძე; 14. კალიბრი; 18. ალაფი; 19. გიუმი.

**თარაზულად:** 4. ჩანახი; 5. ბაზილიკა; 7. ამანათი; 8. აგენტი; 10. გაუდა; 13. ზეკარი; 15. ტრავმა; 16. ლავა; 17. რომა; 20. ისრიმი; 21. დემონი; 22. სუფრული; 23. მწუხრი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. თუნუქი; 2. ვისლა; 3. ძოწი; 5. ჯაგერი; 6. სააბი; 7. ბოჰემია; 11. სკივრი; 13. სტაფილო; 14. ყანწი; 15. ვეჯვუდი; 16. პალანგა; 17. კაკადუ; 19. ატომი; 20. არგო.

**თარაზულად:** 1. თევზაძე; 4. გურჯი; 8. წნორი; 9. გემა; 10. უოლესი; 12. შეიკერი; 14. ყავა; 15. ვალტორნა; 16. პანჩი; 18. ლავრა; 21. კანოე; 22. გრეგორი; 23. მადიარი.

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

# ახალი თაობა

akhalitaoba.ge


9 ნოემბერი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.7025 |
| ევრო | 2.8825 |
| დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი | 3.3119 |
| 100 რუსული რუბლი | 2.9341 |

## ამინდის პროგნოზი 9 ნოემბრისათვის




## კილიან მბაპე: „მილანმა თამაშით გვაჯობა"



პსჟ-მ სტუმრად მილანთან წააგო 1:2 და მატჩის შემდეგ პარიზული კრიტიკის ქარცეცხლში მოყვნენ, განსაკუთრებით ეს კილიან მბაპეს ეხება, რომელიც ნაკლებად აქტიური იყო. თამაშის შემდეგ მბაპემ თქვა, რომ ეს არ იყო მისი საუკეთესო თამაში და მილანმა გამარჯვება დაიმსახურა:

– მილანმა თამაშით გვაჯობა და მათ თავიანთი შანსები კარგად გამოიყენეს. ჩვენ ეფექტურობა გვაკლდა და ამაზე აუცილებლად უნდა ვიმუშაოთ მომავალში. ჯერ იდეალურ ფორმაში არ ვართ.

## ერლინ ჰოლანდი: „ყოველდღე პროგრესს განვიცდი"



მანჩესტერ სიტის ფორვარდმა ერლინ ჰოლანდმა იანგ ბოიზს ორი გოლი გაუტანა და კრიტიკოსები დროებით გააჩუმა, რომლებიც მის ცუდ ფორმაზე საუბრობდნენ. ჰოლანდის თქმით, ის ყოველ შეხვედრაში უკეთესია, ვიდრე ადრე იყო:

– ვხედავ, რომ მოედანზე ბევრი რამ კარგად გამომდის და მინდა, რომ კიდევ უფრო მეტი სარგებელი მოვუტანო ჩემს გუნდს. როდესაც გოლებს იტან, თავს ძალიან თავდაჯერებულად გრძნობ.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## ანრი ჯოხაძე თბილისში პირველ სოლოკონცერტს გამართავს



მომღერალი ანრი ჯოხაძე თბილისში პირველ სოლოკონცერტს გამართავს. თბილისის დიდ საკონცერტო დარბაზში 29 ნოემბერს მომღერალი მისი მრავალფეროვანი რეპერტუარიდან კარგად ნაცნობ სიმღერებს შეასრულებს. ანრი ახალ სიმღერებზეც მუშაობს, რომლებსაც ფილარმონიაში მისულ მსმენელს წარუდგენს.

მომღერლის თბილისურ სოლოკონცერტზე დასასწრები ბილეთის ფასი 40-100 ლარია.

## ნინი ბრეგვაძემ ამერიკული „ვოისის" ნოკაუტის ტური მოიგო



ქართველმა მომღერალმა ნინი ბრეგვაძემ ამერიკული „ვოისის" ნოკაუტის ტური მოიგო და ჟიურისა და დამსწრე საზოგადოების მქუხარე აპლოდისმენტები და ხანგრძლივი ოვაციები დაიმსახურა.

ნინიმ ამ ტურში ლეგენდარული ინგლისური როკ-ჯგუფის „რედიოჰედის" სიმღერა შეასრულა:

– მოვიგე ნოკაუტი და ვარ ძალიან ამაყი. არა იმიტომ, რომ ნოკაუტის გამარჯვებული ვარ, არამედ იმიტომ, რომ მომეცა საშუალება, მემღერა ჩემი ერთ-ერთი საყვარელი სიმღერა. დიდი მადლობა მხარდამჭერისთვის. მიყვარხართ, თქვენი ნინი.

## ლიზა ბათიაშვილი და გიორგი გიგაშვილი ბრიუსელში დაუკრავენ

მევიოლინე ლიზა ბათიაშვილი და პიანისტი გიორგი გიგაშვილი ბრიუსელში ერთობლივ კონცერტს გამართავენ.

16 ნოემბერს ბრიუსელში, ნატიფი ხელოვნების სასახლეში – ბოზარი ქართველი მუსიკოსები ვაჟა აზარაშვილის, ფელიქს მენდელსონისა და ცეზარ ფრანკის ნაწარმოებებს შეასრულებენ.

## მატილდა გვარლიანი მოდის ოსკარებს დაესწრო




ქართველი მოდელი მატილდა გვარლიანი მოდის ინდუსტრიის ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ ღონისძიებას, მოდის ოსკარებს დაესწრო. ღონისძიება ნიუ-იორკში გაიმართა და მის ორგანიზატორი ამერიკის დიზაინერთა საბჭოა.

ყოველწლიური დაჯილდოება ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული ღონისძიებაა ამერიკულ მოდაში, რომელსაც არაერთი ვარსკვლავი ესწრება. წელს საპატიო სტუმრები იყვნენ სერენა უილიამსი, ენ ჰეთევეი, დემი მური...

მატილდა დაჯილდოებაზე კელვინ კლაინის დიზაინერთან ჯესიკა ლომაქსთან ერთად მივიდა. ქართველი ლამაზმანი კელვინ კლაინის კატალოგებსა და სარეკლამო რგოლებში რამდენჯერმე ამოჩნდა.

დემნა და გურამ გვასალიების შემდეგ, მატილდა პირველი ქართველია, რომელიც მოდის ოსკარების სტუმართა რიგებში მოხვდა.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## ხოროტმოქმედმა საიუველირო მაღაზია სათამაშო პისტოლეტით გაძარცვა



ინდოეთში სათამაშო პისტოლეტით შეიარაღებული მამაკაცი საიუველირო მაღაზიაში შეიჭრა და გაძარცვა.

მამაკაცმა, სახელად აზიმ კურეშიმ, აღნიშნული დანაშაული 30 ოქტომბერს ქალაქ ნიუ-დელიში ჩაიდინა. ის საიუველირო მაღაზიასთან სკუტერით მივიდა და მაღაზიაში სათამაშო პისტოლეტითა და დანა მომარჯვებული შევიდა. კურეშიმ რამდენიმე ასეული ათასი რუპიის ღირებულების ოქროს და ვერცხლის სამკაულები გაიტაცა და მიიმალა.

პოლიციის თანამშრომლები დამნაშავეს ხუთი დღის განმავლობაში ეძებდნენ. მათ დანაშაულის ჩადენის ადგილსა და მის შემოგარენში 200-ზე მეტი სათვალთვალო კამერის ჩანაწერები შეისწავლეს და მისი ვინაობის დადგენა შეძლეს. კურეში დააპატიმრეს. პოლიციამ მას გატაცებული სამკაულების უმრავლესობა ჩამოართვა. ასევე მისი ბინიდან ამოიღეს ფული, სკუტერი, სათამაშო პისტოლეტი და დანა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## მურაზ მურვანიძე ბრწყინვალების ორდენით დაჯილდოვდა



ცნობილი მხატვარი და სცენოგრაფი მურაზ მურვანიძე ქართული სახვითი და თეატრალური ხელოვნების განვითარებისა და პოპულარიზაციის საქმეში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის, საერთაშორისო ასპარეზზე გამორჩეული წარმატებისა და ქვეყნის წინაშე აღმატებული ღვაწლისათვის ბრწყინვალების ორდენით დაჯილდოვდა. ჯილდო ხელოვანს საქართველოს პრეზიდენტმა გადასცა:

– მთელ მსოფლიოში არ არსებობს თეატრი, ოპერა თუ ამ დარგში ცნობილი ადამიანი, ვისთანაც თქვენ არ გიმუშავიათ და არ გითანამშრომლიათ. ძალიან რთულია რამდენიმე სიტყვით ამ ყველაფრის დახასიათება.

მე მინდა თქვენი სიტყვები გამოვიყენო, როცა თქვენ თქვით, რომ საჭიროა ცოტა მსახიობიც იყო, ცოტა რეჟისორიც, ცოტა მუსიკოსიც, არქიტექტორიც, მხატვარიც, მოქანდაკეც, ლიტერატურაც უნდა იცოდე – ეს ყველაფერი საჭიროა, სხვანაირად სცენოგრაფი ვერ იქნები და მე მგონი, თქვენ თვითონ თქვენივე სიტყვებით ახსენით, რაში მდგომარეობს სცენოგრაფია და რა არის საჭირო. მართლაც, ყველა მიმართულებით მრავალფეროვანი ნიჭი, რომლის გარეშე ვერ იცავ იმ გლობალურ ხელოვნებას, რაც საჭიროა სცენოგრაფიაში და ამიტომაც, ალბათ, თქვენ შეძელით, შეხვედით, შეიჭერით და თქვენთან ერთად შეიჭრა საქართველო ყველა ამ დიდ თეატრში, დიდ ოპერაში. ვერც ჩამოვთვლი – რომი, ვარშავა, გენუა, პარიზი, გრანდ ოპერა, მონტეკარლო, მარიინსკის თეატრი და მრავალი სხვა, რომელიც თქვენ და საზოგადოებას ახსოვს. თქვენი წყალობით შევედით ჩვენც იმიტომ, რომ თქვენ იქ საქართველოს წარმოადგენდით, როცა ეთანამშრომლებოდით ხან ბეჟარს, ხან ძეფირელის, როსტროფოვიჩს, სალვადორ დალის, ხან პლასიდო დომინგოს, ხან პიტერ უსტინოვს. იქაც, მათთვის თქვენ იყავით ის ქართველი ხელოვანი, რომელიც მათაც ეამაყებოდათ და თქვენგან იცნობდნენ იმ საქართველოს, რომელიც ჩვენ გვინდა, რომ მსოფლიოს გავაცნოთ, არა მეორეხარისხოვანი საქართველო, არამედ წარმატებული, შემოქმედი საქართველო.

ამიტომ, ვთვლი, რომ ეს ჯილდო თქვენი დიდი დამსახურებაა ქვეყნისთვის გაწეული მრავალი წლისათვის. ისიც თქვით, რომ აქაური თეატრებიდან ხშირად გაგაგდეს. არა უშავს, ეს ხდება ამ ქვეყანაში. სამაგიეროდ, როგორც ჩანს, თქვენ გვაპატიეთ, რადგან აქ ხართ.

თქვენ იწვალეთ, რათა თქვენი ნაშრომები აქ დაბრუნებულიყო და ეს არ იყო მარტივი. უცნაური კანონები გვაქვს, რომელიც ამას ზღუდავს, მაგრამ მაინც შეძელით – თქვენივე სახლში გაქვთ არაჩვეულებრივი მუზეუმი, რომელიც ალბათ უფრო მეტად უნდა იყოს პოპულარიზებული და სხვა საშუალებები მიეცეს. იქ თქვენი ძალიან დიდი საუნჯეა და ვისაც ამის ნახვის საშუალება ეძლევა, ძალიან ბედნიერი რჩება.

აქ გამოფენილია ჭაბუკიანის არაჩვეულებრივი ქანდაკება. ვიცი თქვენი დიდი სურვილია, რომ ერთ დღეს მან თავისი ადგილი ჰპოვოს ოპერაში და ალბათ ასეც მოხდება. იმედი მაქვს, რომ ეს მოხდება, იმიტომ, რომ ჭაბუკიანის სახელი და თქვენი სახელიც ამას მოითხოვს.

კიდევ ერთხელ მინდა, საზოგადოების მხრიდან და ამ ქვეყნის სახელით დიდი მადლობა გითხრათ და ყველას მაგივრად ის დიდი პატივისცემა გამოვხატო, რომელიც ამ წლების განმავლობაში თქვენ დაიმსახურეთ.

**მურაზ მურვანიძე, მხატვარი:**

– მართლა საოცარი დღეა ჩემთვის. 60 წლის წინ მივიღე საქართველოში პირველი მედალი – წლის საუკეთესო მხატვრის წოდება. ამის შემდეგ გავიდა 60 წელი და ახლა მივიღე სანუკვარი და საოცნებო ორდენი, რომელიც ძალიან მახარებს და რომელსაც, ვუწილადებ ვახტანგ ჭაბუკიანს. მას ნამდვილად ეკუთვნოდა ეს ორდენი, მაგრამ აღარ არის, ძალიან ნაწყენი წავიდა ჩვენგან და იმედია გამოვასწორებთ ამ შეცდომას. ადამიანი, რომელიც დღემდე არის ნომერი პირველი თავის საქმეში.

ამიტომაა, რომ 25 წელია ვმუშაობ, ვფიქრობ, როგორ დამედგა ოტელო, ოტელოთი იცნობდნენ ვახტანგ ჭაბუკიანს. მე ქანდაკებაზე ვახტანგ ჭაბუკიანი გამოვსახე. აქ ბალეტის ქალღმერთი ტერფსიქორეა გამოსახული, რომელსაც თავის უსაყვარლესი შვილი ცაში აჰყავს. იმედია ოდესმე ასრულდება ჩემი და ვახტანგ ჭაბუკიანის ოცნება. ყველა მოვინდომებთ ამას და გარდავტეხთ ერთ ორგანიზაციას, რომელსაც არ უნდა ამის დადგმა იმიტომ, რომ ქალაქის პატრონები ჰგონიათ თავი. ქალაქის პატრონები ჩვენ ვართ, ამიტომ ეს უნდა განვახორციელოთ.

ქალბატონმა პრეზიდენტმა ბრძანა, რომ სამჯერ ვარ გაგდებული ოპერის თეატრიდან. პირველად ვახტანგ ჭაბუკიანთან ერთად და ძალიან მეამაყება, მეორედ მიშა ლავროვსკისთან ერთად.

ახლა ბატონმა ჩლაიძემ დაწერა შესანიშნავი მუსიკა „ოპერა ფიროსმანისთვის" და შემომთავაზა მასზე მუშაობა. დიდი სიამოვნებით შევუდექი საქმეს, ორთვე-ნახევარია ვმუშაობ და ვფიქრობ, ახლა კარგად გავაკეთო თუ ცუდად. თუ კარგად გავაკეთებ, გამომიშვებენ თეატრიდან, თუ ცუდად, დამტოვებენ.

მე მინდა მადლობა გადაგიხადოთ, ვისაც ჩემთან ერთად უხარია ჩემი დღევანდელი დიდი სიხარული. მინდა მადლობა გადავუხადო აქ მყოფ ექიმებს, ისინი რომ არა, დღეს თქვენ წინაშე არ ვიდგებოდი.

## ნუკი კოშკელიშვილი მეორე შვილს ელოდება



მოდელი და ტელეწამყვანი ნუკი კოშკელიშვილი დედა მეორედ გახდება. ის და მისი ამერიკელი მეუღლე ბენ ჩეიმი პატარას მოლოდინში არიან.

სასიამოვნო სიახლე ათასობით გულშემატკივარს ნუკიმ სოციალური ქსელით ახარა და ბევრი მილოცვაც მიიღო. ნუკის და ბენს პირველი შვილი ბიჭი – 5 წლის ოლივერი ჰყავთ.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## კროსვორდი ა




**შვეულად:** 1. ქართველი ძიუდოისტი, ოლიმპიური ჩემპიონი; 2. რაიმეს დასამტკიცებლად გამოყენებული საბუთი; 3. ექიმის, მკურნალის ლათინური სახელწოდება; 4. ამერიკული კოსმეტიკური ფირმა; 5. ცეცხლსასროლი იარაღის ბელგიელი კონსტრუქტორი; 9. ჰორიზონტალური სამშენებლო კონსტრუქცია; 11. ნიმუში, ტრაფარეტი; 12. მხატვრულ-დეკორატიული სტილი ევროპულ არქიტექტურაში; 14. თამბაქოს წარმოების ერთ-ერთი ცენტრი თურქეთში; 18. სპორტული სასეირნო ნავი; 19. პოლონეთის პარლამენტი.

**თარაზულად:** 4. ოპტიკო-კვანტური გენერატორი; 5. შავკანიანთა რასის წარმომადგენელი; 6. უბანი თბილისში; 7. რომან „კუკარაჩას" პერსონაჟი; 8. ქართველი პოლიტიკოსი მამაკაცი; 10. ლიმონის წვენითა და შაქრიანი წყლით შეზავებული ცხელი რომი; 13. ოპერა „სევილიელი დალაქის" მუსიკის ავტორი; 15. სევდიანი ლირიკული ლექსი; 16. ცხენოსნური თამაში ბურთით; 17. ერთგულების მტკიცე პირობა; 20. პატარა ბალი; 21. აჭარული ცეკვა; 22. ტრამვაის მძღოლი; 23. რაიმე ნაკეთობის შემცირებული მოდელი, ნიმუში.

**შეადგინა თ.გოგინაშვილმა**